ა. ბებელი

კაცობრიობის იდეალი

თარგმანი კ. ნინიძისა.

გამოცემა მუშისა
№ 3

თბილისი
სტამბა კ. თავართქილაძისა.
1906

дозволено цензурою 10 января 1906 г.

„სიტყვამ, რომელიც მე 1869 წ. 20 ნოემ-
ბერს წარმოვსთქვი შტუტგარტის „საზოგადო სახ-
ლში“ სოციალურ საკითხის შესახებ გაზეთ „დე-
მოკრატიშე ცაიტუნგის“ მხრით სამი საპასუხო წე-
რილი გამოიწვია, სადაც ის არჩევს „სახელმწიფო
დახმარების“ საკითხს და მის განხოლციე-
ლებას მრავალგვარ მოსაზრებით შეუძლებლათ
სთვლის. უწინარეს ყოველისა გაზეთი მისაყვედუ-
რებს, რომ მე გვერდი ავუხვიე აღნიშნულ კითხვის
საფუძვლიან გარჩევას და მის მაგიერ, რომ ის გა-
დამეწყვიტა, მისი საზოგადო განხილვით დავკმაყო-
ფილდი.

ასეთი ჩემი მოქმედება სრულიათ ბუნებრივი იყო.

მე ვლაპარაკობდი ისეთ საზოგადოების წინაშე,
რომლის შეხედულება თანამედროვე მდგომარეობა-
ზე არსებითად განსხვავდება სოციალ-დემოკრატიის
შეხედულებისგან, რომლის უმრავლესობა დარწმუ-
ნებული იყო, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული პრინ-
ციპები ჩვენი ოცნების ნაყოფია და ცხოვრებაში
არავითარი საფუძველი არ აქვთ. ამ გარემოებამ

მაიძულა მე ნათლათ და გარკვევით მეჩვენებინა, რომ თანამედროვე ცხოვრება ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგია, რომ წინანდელი ცხოვრების პირობები და წარმოების წესი ახლანდელს სრულებით არ წააგავს, ამიტომ სისულელეა ვიფიქროთ და ვამტკიცოთ, რომ თანამედროვე მდგომარეობა შეუცვლელი დარჩება. ამ მიზნის მისახწევათ უწინარეს ყოვლისა მე დავასურათე საზოგადოებრივ დაწესებულებათა ისტორიული პროცესი და ავხსენი, როგორ თან და თან განვითარდა თანამედროვე წყობილება. აქ ჩვენ ძალაუნებურათ შევეხეთ იმ მოვლენებს, რომელიც თანამედროვე წყობილების განვითარებას აუცილებლათ უნდა მოყვეს. ამან შემდეგ დასკვნამდის მიგიყვანა:

ფეოდალურმა სახელმწიფომ და მის დროს გაფურჩქვნილმა წვრილ-ბურჟუაზიულმა წარმოებამ უკიდურეს განვითარების შემდეგ თანამედროვე სახელმწიფოს და კაპიტალისტურ წარმოების წესწყობილებას დაუთმეს ადგილი. სხვანაირად რომ ვთქვათ ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილი წარმოება არსებობდა მანამდის, სანამ მწარმოებელი მხოლოდ თავის ყოველ-დღიურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა, ხოლო როცა ბაზარი გაფართოვდა, მის დასაკმაყოფილებლად აუარებელი ნაწარმოები შეიქმნა საჭირო, რამაც გამოიწვია მსხვილი წარმოება—მანუფაქტურული და მანქანური. თანამედროვე

წარმოების განვითარება წვრილ მწარმოებლებს ძირს უთხრის. კაპიტალის კონცენტრაციის ზრდა აიძულებს კაპიტალისტს დიდი კაპიტალი შეიძინოს თუ სურს, რომ სამრეწველო ბრძოლის დროს დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს. ამიტომ იმათი რიცხვი, ვისაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, თან-დათან კლებულობს. ამას გარდა კონკურენცია აიძულებს კაპიტალისტს თუ ის წარმოების ერთ დარგში დამარცხდა, თავისი მოქმედება მეორე უფრო ხელსაყრელ ან სრულიად ახალ დარგში გადაიტანოს. ამ რიგად, თანამედროვე მსხვილი წარმოება თან და თან ფეხს იკიდებს წარმოების ყველა დარგში და დამოუკიდებელ მწარმოებლებს დაქირავებულთა ბანაკში ერეკება. ასეთი წესწყობილების შედეგია ეგრედ წოდებული საშუალო წოდების გაქრობა და საზოგადოების გაყოფა ორ მოწინააღმდეგე კლასად, რომელნიც აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც რიცხვით, ისე ქონებრივი მდგომარეობით. პირველია კლასი კაპიტალისტებისა, რომელთა რიცხვი თანამედროვე ცივილიზაციის ზრდასთან ერთად კლებულობს; მეორემ ჯშათა კლასია, რომლის ბანაკში თან და თან ხალხის დიდი უმრავლესობა გროვდება. აქედან ცხადია, რომ ეგრედ წოდებული საშუალო წოდება—წვრილი ბურჟუაზიადა გლეხობა—სავსებით დაიცავს თავის ინტერესებს, თუ ის მუშათა კლასის მოთხოვნილებას მიემხრობა, რადგან საშუალო

წოდება თავისი აუტანელი მდგომარეობით სრულიათ არ განსხვავდება ეგრეთ წოდებულ მუშათა წოდებისაგან და ეჭვს გარეშეა, რომ მასაც მუშათა კლასის ბედი არ ეწვიოს. შემდეგ მე ავხსენი, რომ თანამედროვე კაპიტალის არსებობა დამოკიდებულია იმაზე, რომ საზოგადოების შეხედულებით მუშა არა მარტო ღირებულების შემქნელია, არამედ ის ჩვეულებრივი საქონელია, როგორც სხვა რომელიმე. ამიტომ სამუშაო ძალა აღებ-მიცემობის კანონს ექვემდებარება. მუშა ხელის რაოდენობით და მაზე მოთხოვნილებით ისაზღვრება იმისი ფასი და ამ კანონის ძალით ის ღებულობს არა სრულს ღირებულებას, რომელიც მან შექმნა, არამედ მის მცირე ნაწილს—სამუშაო ქირას. ის განსხვავება, რომელიც ქირასა და ღირებულებას შორის არსებობს—ზედმეტი ღირებულება—კაპიტალისტის ჯიბეში ჩადის, ამას ქვია „ჯილდო რისკისთვის“, „საჩუქარი დაზოგვისთვის“ და სხვა მშვენიერი სახელები, რომლითაც ბურჟუა პოლიტიკო-ეკონომები მტაცებლობის არსებულ სისტემას აფუჩეჩებენ; ეს განსხვავება ხაზეინის ჯიბეში ჩადის და კაპიტალის სახეს ღებულობს. ამნაირად, კაპიტალი კაპიტალისტის პირადი შრომისგან კი არ დგება, არამედ მას ქმნის ხაზეინის მიერ შეძენილი სასწაულ მომქმედი სამუშაო ძალა, რომელიც მის ჯიბეს ზედმეტი ღირებულებით ავსებს.

ნებას მივცემ ჩემს თავს ვთხოვო „დემოკრატიშე ცაიტუნგს“ დაიხსომოს მან ეს ნაჩქარევათ დახატული სურათი კაპიტალის გაჩენისა, რადგან შემდეგ მე ისევ დავუბრუნდები მას, რომ გამოვააშკარავო ამ გაზეთის უსაფუძლო ლაპარაკი „ბუნებრივ მიდრეკილების“ და „ვაჭრულ თვისების“ შესახებ და ის გარემოება, ვითომ კაპიტალისტს ან ფაბრიკანტს არა საკუთარი სურვილი, არამედ აუცილებლობა აიძულებს წარმოების სათავეში ჩადგომას.

რა საბრალო არსება უნდა იყოს ეს ძალათ გაკაპიტალისტებული ადამიანი „თავისუფალ“ მუშასთან შედარებით!

მეტი უსამართლობა განა იქნება, რომ მუშა ხალხს ამის დანახვა არც კი სურს! გარდა ამისა ყურადღება მივაქციე შემდეგ გარემოებას. რადგან მუდამ ახალ-ახალ მანქანებს იგონებენ ან უკვე გაშოგონილს აუმჯობესებენ, ადამიანის საშუშაო ძალა თითქმის მეტი ხდება, ამიტომ მუშა ხელის რაოდენობა სჭარბობს მის მოთხოვნილებას, რაც ჩვეულებრივ სამუშაო ქირის დაცემას და არა მომატებას მოასწავებს. სამუშაო ქირის შემცირებას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ გაუმჯობესებული მანქანის შეძენა ხაზეინს საშუალებას აძლევს მამაკაცების მაგიერ ქალები და ბავშვები დაიქირავოს. ეს ამწვავებს მუშათა შორის კონკურენციას და საშუშაო ქირის დაცემა ბუნებრივ მოვლენათ ხდება.

სტატისტიკური ცნობები ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის გერმანიის, და სხვა ქვეყნების მუშათა ცხოვრებიდან ნათლათ გვიჩვენებენ, თუ რამდენათ მატულობს მუშების გაჭირება და თან რამდენად იზრდება ეგრედ წოდებული „ნაციონალური სიმდიდრე“. ასეთი მოვლენა წმინდა სისულელედ ეჩვენება ადამიანს, მაგრამ საქმე ის არის, რომ „ნაციონალური სიმდიდრე“ სულ სხვაა და ხალხის სიმდიდრე კიდევ სხვა, ან მართალი რომ სთქვას კაცმა „ნაციონალური სიმდიდრე“ ეს ერთი მუჭა კაპიტალისტების (ამ ძალად კაპიტალისტებად გამხდარი ადამიანების—როგორც „დემოკრატიშე ცაიტუნგი“ ამბობს) სიმდიდრეა. ამგვარად „ნაციონალური სიმდიდრის“ და ხალხის სიღატაკის ზრდა ერთ და იმავე დროს ხდება, პირველის არსებობა იწვევს მეორეს. ჩვენი მოწველობის ასეთ განვითარებას, როგორც დამტკიცებულია, თვალსაჩინო ვნება მოაქვს ხალხის დიდი უმრავლესობისთვის. რამდენიმეთ ამის თანახმაა დღეს გაბატონებული ეკონომიური მიმართულებაც და რადგან ის გულის ფანცქალით ამჩნევს, რომ გაყვლეფილთა შორის უკმაყოფილება თან და თან მატულობს და გაბატონებული კლასიც გრძნობს, რომ ერთ დროს მასაც დაღუპვა მოელის, ჩვენი ეკონომისტები ცდილობენ პაწაწკინა საშუალებათა მეოხებით მუშებს და ხელოსნებს მათი მდგომარეობის შეგნება გაუძნელონ.

მათ მიერ ნაჩვენებნა ან უკვე შემოღებულმა ზომებმა, რომელნიც „თვით დახმარების“ სახელით მონათლეს, სოციალური ბოროტება უნდა მოსპონ, მაგრამ ცხოვრებაში ისინი გამოურკვეველ როლს თამაშობენ და ყოველ შემთხვევაში მათი გავლენა სერიოზულ მნიშვნელობას მოკლებულია. აქედგან წარმომდგარი მოთმინების და „დაზოგვის“ თეორია აშკარა დაცინვაა, რადგან სამუშაო ქირა ისე მცირეა, რომ მის შემწეობით ხალხის უპირველეს მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძლივს შეიძლება. თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე წარმოების ტენდენციას, რომელიც მუშის ალაგას მანქანის გაბატონებისაკენ მიილტვის,—მაშინ სამუშაო ქირის შემცირების აუცილებლობა ყველასთვის თვალსაჩინო იქნება. ასეთ შემთხვევაში დაზოგვა უპირველეს მოთხოვნილებათა უარისყოფა, ეს ნიშნავს მუშის ფიზიკური და სულიერი ძალის მიწასთან გასწორებას. ეს თეორია თანამედროვე ნაციონალურ შეხედულებითაც კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან მხოლოდ მომხმარებელ საზოგადოებათა გამრავლებას (სახმარ საგნების გავრცელება) შეუძლიან წარმოება წინ წასწიოს (წარმოება მოსახმარ საქონლისა).

თუ აქ მოვიგონებთ აგრეთვე იმასაც, რომ დაზოგვა ყოვლად შეუძლებელია შრომის იმ დარგში, რომელიც ღრმა მატერიალურ დაცემას განიცდის და ამიტომ დახმარებას იოხოვს, მაშინ თეორიის

მრავალ სიტყვაობა და უსაბუთობა თავის თავად აშ-
კარა ხდება. კერძოთ თითო-ოროლა მუშას, რასაკ-
ვირველია, შეუძლიან ცოტა რამ გადინარჩუნოს.
ესევე უნდა ითქვას შრომის ზოგიერთ დარგის შე-
სახებ, რომელიც განსაკუთრებით კარგ პირობებში
იმყოფება, მაგრამ ეს დაზოგვა უნდა მოხდეს მუშის
სულიერ და ფიზიკურ მოთხოვნილებათა შემოკ-
ლებით და ყოველ შემთხვევაში იმ დონემდე ვერ
მიახწევს, რომ მის შემწეობით რაიმე სერიოზული
საქმის გაკეთება შეიძლებოდეს. საკმაოა ოჯახს რაი-
მე უბედურება ეწვიოს ან რომელიმე მისი წევრი
ავად გახდეს, და „შეგროვებული“ თანხა გაქრება.
არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ დიდი სამუშაო
ქირა, რომელიც ზოგიერთ დარგში არსებობს, დიდ-
ხანს ვერ გასტანს. ასეთ ქირას ეტანებიან ახალი სამუ-
შაო ძალები და აგრეთვე ისინი ვისაც ნაკლები სამუ-
შაო ქირა აქვთ. ამ მიზეზის გამო მუშების რაოდენო-
ბა მატულობს და ფასიც ეცემა. ასეთია საქმის ვითა-
რება თანამედროვე წყობილებაში.

შემნახველ საზოგადოებაზე უფრო კარგათ არც
მომხმარებელ საზოგადოების საქმეა. იმ მუშებს,
რომელნიც მცირე ხელფასს მაინც ღებულობენ,
კიდევ შეუძლიათ ასეთ საზოგადოებაში საჭირო სა-
წევრო ფულიშეიტანონ, მაგრამ როცა მუშებს სა-
მუშაო შემოელევათ—მრავალგვარ პოლიტიკურ ან
ეკონომიურ კრიზისების გამო—საზოგადოება უნდა

გაუქმდეს, რადგან მას შეძლება არ აქვს თავის წევრებს ნისიათ აძლიოს საქონელი, ფული კი ამ უკანასკნელთ არ მოეპოვებათ. სწორედ ამიტომაა, რომ ასეთი საზოგადოების წევრობა ცოტათ თუ ბევრათ უზრუნველ ყოფილ მუშას შეუძლია, ღარიბი კი იქ ფეხსაც ვერ შედგამს. რაც უნდა იყოს, ასეთ საზოგადოებას არ შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა. საჭიროა დიდიხნის წევრობა, რომ უსაჭიროესი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ თანხას მოუყაროთ თავი, იმისი ფიქრი კი, რომ აქ მოგროვილი ფულით ვინმე თანამედროვე პირობებში დამოუკიდებელი მწარმოებელი გახდება, პირდაპირ სისულელეა. ყოველ ეჭვს გარეშეა ისიც, რომ მომხმარებელი საზოგადოება მუშების დიდ რიცხვს შეძლებას აძლევს იოლად წავიდენ და ამიტომ დღეს გაბატონებულ სამუშაო ქირას კიდევ უფრო ამცირებს. ასე რომ მათი მატერიალური სარგებლობა სრულიად უმნიშვნელოა. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ასეთ საზოგადოებათა ზნეობრივი მნიშვნელობა: ისინი ხელს უწყობენ მუშების თვით შეგნებას, უმტკიცებენ, რომ ხსნა მხოლოდ სოლიდარობაშია. მათ კიდევ ის სარგებლობა მოაქვთ, რომ შეძლებას აძლევენ მუშას ვაი ვაგლახით მოპოებული ფული უვარგის საქონელში არ დახარჯოს.

ურთი-ერთ ნდობის საზოგადოებას და დაუმუშავებელ მასალის ამხანაგობებს აარსებენ წკრილი

წარმოებლისთვის და არა მუშებისთვის. მათი მიზანი მსხვილი კაპიტალის კონკურენციისაგან დაცვა და კრედიტის მოპოებაა. თუმც ასეთი საზოგადოებების რიცხვი, განსაკუთრებით პირველი ტიპის, გერმანიაში სწრაფათ იზრდება, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც მცირეა. წვრილ მწარმოებელს თან და თან ამარცხებს მსხვილი მწარმოებელი.

წვრილ მწარმოებელს არ შეუძლიან იმდენი კაპიტალი შეიძინოს, რომ მსხვილ კაპიტალისტს გაუმკლავდეს. რადგან მას სიმდიდრე არა აქვს, ამიტომ ურთი—ერთ ნდობის საზოგადოების კარები მისთვის დახშულია, რადგან ურთი—ერთ ნდობის საზოგადოება ისეთი დაწესებულეაა, როელიც ლასალის თქმით, წვრილი მწარმოებლის სამკვდრო—სასიცოცხლო ბრძოლას აჭიანურებს, მაგრამ მისი შეჩერება კი არ შეუძლიან. ესევე ითქმის დაუმუშავებელ მასალის ამხანაგოებებზე. როგორ უსარგებლოა ეს საზოგადოებები ღარიბი ხელოსნისთვის—მუშაზე ხომ ლაპარაკიც მეტია-ეს სჩანს იმ ტენდეციიდან, რომელიც მათ უმრავლესობას ემჩნევა: დამხმარებელი დაწესებულებ ის მაგიერ ისინი თანდათან ბანკის ხასიათს ღებულობენ. ამისათვის ისინი თანდათან ადიდებენ თვიურ საწევრო ფულს და ამით ეგრედ წოდებულ „პატარა კაცებს“ გზას უღობავენ. ამასთანავე იზრდება საზოგადო თანხაც. ურთი-ერთ-ნდობის საზოგადოებათა უმრავლესობა დღესაც წვრი

ლი ბურჟუაზიის ხელშია, რომელსაც მხოლოდ ამ საზოგადოებათა მეოხებით შეუძლია კრედიტი შეიძინოს, რადგან ყველა დიდი კაპიტალები თავსდება რკინის გზის აქციებში, დიდ წარმოებაში, ან სახელმწიფოს ეძლევა სესხათ. საჭიროდ ვთლი დავუმატო, რომ რამდენიმე ხნის წინეთ ბერლინის ბირჟამ მიიღო აქციები „გერმანელთა ამხანაგობის ბანკისა“, რომელიც შულცე-დელიჩის ამხანაგობამ დააარსა. ამ რიგად ამ დაწესებულებათა ბურჟუაზიული ხასიათი ოფიციალურად ცნობილია თვით მსხვილი ფინანსისტების მიერ, და ისინი ხომ ამ შემთხვევაში ავტორიტეტს წარმოადგენენ.*)

რომ მწარმოებელთა კავშირების შედგენა თითქმის შეუძლებელია მუშებისთვის, ეს თავის თავად იგულისხმება. ბევრი ასეთი კავშირები უკვე მოისპო; რამდენიმე გადარჩა, მაგრამ დიდ განსაცდელშია კაპიტალისა და კრედიტის უქონელობით და თუ კიდევ ცოცხლობს მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმედ კაპიტალისტურ წესწყობილებისა თვისება მიიღო; ეს იმას ნიშნავს, რომ წმინდა შემოსავალის ეთი ნაწილი — და ძალიან დიდი — კაპიტალისტის ხელში გადადის. მუშების დიდ უმრავლესობას ასეთ კავშირებში მონაწილეობის მიღებაც კი არ შეუძლია **).

*) ყურადღების ღირსია ის, რომ როცა კაპიტალებმა ნუმეცურ ურთი-ერთ ნდობის საზოგადოებაში იწყეს დენა, წვრილმა მწარმოებლებმა საშინელი ღრიალი მორთეს: გვიშველეთ, ვიღუპებითო. ცხადია, „შეგროვებამ“ მათ ვერ უშველა

**) ბ. შულცე-დელიჩი შემდეგს ამტკიცებს: მომხმარე-

რაც უნდა იყოს, არტელი ერთად ერთი საშუალებაა საზოგადოებრივი წინააღმდეგობათა გასასწორებლათ. სამუშაო ქირის ალაგას, რომელიც ჩვეულებრივ „სამუშაოს ძალად„ წოდებულ საქონლის ფასს უდრის, შრომის ღირებულება იჭერს, ე. ი. ყოველი ადამიანი სარგებლობს იმით, რაც მის ფიზიკურ და სულიერ შრომას შეუქმნია. მაშ საჭიროა მხოლოდ იმის გაგება: სად უნდა მოიძებნოს სახსარი ამხანაგურ წარმოებისათვის? ეგრედ წოდებული ურთი ერთ დამხმარებელი საზოგადოებანი, როგორც უკვე დავინახეთ, ამ სახსარს არ იძლევიან, რადგან მათი წევრები თანამედროვე წყობილების მეოხებით ყოველივე ქონებას და დამოუკიდებლობას მოკლებულნი არიან. საჭიროა, მაშ, კერძო პირების მაგიერ საზოგადოება წამოვაყენოთ, და რადგან საზოგადოებისათვის განსაზღვრული ორგანიზაციაა საჭირო

ბელი საზოგადოებანი და მწარმოებელთა კავშირები თან და თან მეტ სოციალისტებს იერთებენ, რადგან ამ უკანასკნელთ თვით დახმარების პრინციპი იზიდავს. რადგან მათი ცნობლი ტაკტიკა ხელს უშლის მათ ჩვენთან პირდაპირ შეერთებას, ამიტომ ისინი ჩვენს რჩევას მაინც ეთანხმებიან, ღებულობენ ჩვენ წესდებას და ბოლოს ყველანი შეგვიერთდებიან!! ბატონი შულცე-დელიჩი, ჩვეულებისამებრ, ძლიერ აჭრბებს. სოციალისტები არსად არ ეტრფიან მომხმარებელი საზოგდოებების დაარსებას; სრულიად არაფერია ცუდი იმაში რომ სოციალისტები ზურგს არ აქცევენ იმ მცირე სარგებ-

უნდა ვისარგებლოთ აწ არსებული ორგანიზაციით, თუმცა ეს უნაკლულო არ არის—სახელდობრ სახელმწიფოთი. იბადება კითხვა, შეუძლია თუ არა ეს სახელმწიფოს, აქვს თუ არა მას ამისთვის საკმაო სახსარი დღეს, როცა ასეთ დიდს და უსამართლოდ გაწესრიგებულ გადასახადს ახდევინებს თავის წევრებს, და თუ არა აქვს, შეუძლიან თუ არა ბისი შეძენა. რომ სახელმწიფოს დიდძალი თანხის შეგროვება შეუ-

---

ლობას, რომლის მოტანა ამ საზოგადოებას შეუძლია მაგრამ მთელ გერმანიაში არც ერთი სოციალისტი ისე არ აზვიადებს მათ მნიშვნელობას, როგორც ბ. შულცე; არც ერთი იმათგანი არ ფიქრობს მათი შემოღებით სოციალური კითხვის თუნდაც რამდენიმედ გადაწყვეტას.

მწარმოებელთა კავშირების საქმეც თითქმის ამავე მდგომარეობაშია. ამ ორი წლის განმავლობაში სოციალისტებმა რამდენიმე ასეთი კავშირი დააარსეს. მათი მიზანი შემდეგი იყო: ან დახმარება აღმოეჩინათ იმ ამბანავებისათვის, რომელთაც სამუშაო არ ქონდათ და პური აკლდათ, ან წვინდა შემოსავალი, კაპიტალისტის გამდიდრების მაგიერ, გადაედოთ საგიტაციო მიზნისათვის. არც ერთს ასეთი კავშირის წევრს არ უფიქრია ამ გზით სოციალური კითხვის ასე თუ ისე გადაწყვეტა, მით უმეტეს არ უფიქრიათ იმათ ამ საშუალებით კერძო საკუთრების მოსპობა. სოციალისტები ყველა ხელმისაწდომი საშუალებებით სარგებლობენ თავისი მიზნის განსახორციელებლათ; აი იმ გარემოების მიზეზი, რომელსაც ბ. შულცე-დელიჩი თავისებურად ხსნის. თუ ბ. შულცე-დელიჩს გონია, რომ სოციალისტები მის ბანაკში გადავლენ, იმისი იმედი არასოდეს არ განხორციელდება.

ძლია, ამას გვინჩვენებს ჩვენი ბიუდჟეტი და სახელმწიფო ვალები. მაგრამ თანამედროვე სახელმწიფო არ შექმნის კლასობრივ წინააღმდეგობათა გასაქრობ საშუალებებს და უწინარეს ყოვლისა ის ამას არ მოისურვებს, რადგან თვით **სახელმწიფოს ორგანიზაცია საზოგადოებრივ წესწყობილების ნაყოფია და სხვა არაფერი.**

რადგანაც საზოგადოებაში განსაზღვრული კლასებია გაბატონებული (უმცირესობა) ესევე მოვლენა მეორდება სახელმწიფოშიც. ეს უმცირესობა ცდილობს სახელმწიფო ორგანიზაციის შემწეობით საკუთარი კლასობრივი ინტერესები დაიცვას; რო მელიმე დაწესებულების შექმნის დროს ისინი უწინარეს ყოვლისა იმას კითხულობენ, ვისთვისაა ეს დაწესებულება სასარგებლო; უმრავლესობისათვის სასარგებლო დაწესებულების შექმნა ამ უმრავლესობას მაშინ შეუძლია, როცა ეს უმცირესობისთვის მავნებელი არ არის. უმრავლესობის ინტერესებსიმდენათ ღებულობენ სახეში, რამდენათ ისინი უმცირესობის ინტერესებს ეთანხმებიან. ამას გვიმტკიცებს ფეოდალური სახელმწიფოების წესწყობილება, სადაც ქვეყნის მართვა სიუზერენების, აზნაურობის და სამღვდელოების ხელში იყო, რის მეოხებით ისინი თავის ბატონობის განმტკიცებას ცდილობდენ. ბურჟუაზია, რომელიც ნელის ნაბიჯით და თან და თან საშუალო საუკუნოების „მეშჩანური“ საზოგა-

დოებისაგან განვითარდა, ცდილობდა მემამულეებთან ერთად სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში მოქცეულიყო, ე. ი. გაეყვლიფა საზოგადოება, რომლის წარმომადგენელი სახელმწიფო იყო. ამას ის თან და თან ახწევდა. ინგლისში ამ მისწრაფებამ თვალსაჩინო შედეგებს მიახწია 1649 წლის რევოლიუციის დროს, საფრანგეთში მან 1789 წელს გაიმარჯვა, გერმანიაში კი, სადაც ბურჟუაზია ეგრედ წოდებული ლეგალური გზით ვითარდებოდა (რაც 1830 და 1848 წლების მოძრაობამ დააჩქარა) კონსტიტუციონური კანონების შემწეობით, მან დიდი გავლენა მოიპოვა. საფრანგეთში, სადაც 1789 წლის რევოლიუციამ ბურჟუაზიას დამოუკიდებელი ბატონობა მოუპოვა, მუშებს საარჩევნო ცენზის დაწესებით უსაჭიროესი უფლება წაართვა. ესევე მოხდა ინგლისში და გერმანიაში, სადაც კიდევ არსებობენ ფეოდალური წყობილების ნაშთები (ზემო პალატა ინგლისში, ბატონების პალატა, რეიხსტაგი და პირველი კამერა გერმანიაში). ბურჟუაზიის გავლენა ცხადათ გამოიხატება არჩევნების სამკლასიან სისტემაში, არა პირდაპირ არჩევნებში, ქონებრივი ცენზის დაწესებაში აქტიურ და პასიურ არჩევნების უფლებისათვის, დეპუტატების ჯამაგირის მიუცემლობაში—, როგორც ეს გერმანიაშია და სხვა.

პოლიტიკური ბატონობა ბურჟუაზიამ იმიტომ კი არ ჩაიგდო ხელში, რომ მას პოლიტიკა უყვარს ,არამედ

იმიტომ, რომ ამით ის საუკეთესოდ ემსახურება თავის ინტერესებს. მან ისარგებლა ამ უპირატესობით პირდაპირ და არა პირდაპირ. ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ჩვენი კანონმდებლობის სხვა და სხვა განყოფილებიდან: გადასახადების აკრეფის წესს (პირდაპირი გადასახადების უსწორო კლასიფიკაცია), არაპირდაპირი გადასახადების სრულიად უსამართლოდ განაწილებას და სამხედრო ბეგრის სისტემას (ერთი წლის სამსახური „განათლებულებისათვის,“- ფულიანი კაცების შვილებისათვის, და სამი წლის სამსახური „გაუნათლებლებისათვის,“- ხალხის შვილებისათვის), რის მეოხებით გაბატონებული კლასები სრულიად განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან.

სახალხო განათლების საქმესაც კლასობრივი უთანასწორობა უდევს საფუძვლად. ამისთვის გადადებულ თანხიდან ძალიან დიდი ნაწილი უმაღლესი სასწავლებლების შესანახად იხარჯება, სახალხო სკოლებისათვის თითქმის აღარაფერი რჩება. სასამართლოც კლასობრივი უთანასწორობის საფუძველზეა აგებული ე. ი. ქონებრივ უპირატესობაზე: მდიდრებს ის ყოველთვის უფრო ლმობიერად ეპყრობა, ვიდრე ღარიბებს. ამ არა პირდაპირ უპირატესობათა გარდა ბურჟუაზიას ბევრი პირდაპირი უპირატესობაც ეძლევა: მე მოგაგონებთ აქ სახელმწიფოს მიერ უზრუნველ ,ყოფილ პროცენტებს რკინის გზების გაყვანის დროს

კერძო ბანკების გახსნის და აქციონერული საზოგადოებების დაარსების უპირატესობას, ბრეწველობის დაცვას ბაჟების შემწეობით, დიდ სესხებს, რომელსაც თითქმის ყველა სახელმწიფო აძლევს როგორც მსხვილ კაპიტალისტებს, ისე ამხანაგობას, კრედიტის შესახებ კანონს და სხვა.

როცა „დემოკრატიშე ცაიტუნგი“ ჩემ მიერ მოყვანილ ფაქტებს გაიცნობს, დარწმუნდება, რომ მისი სიტყვები, ვითომ სახელმწიფო თანამედროვე მრეწველობას დახმარებას არ უწევდეს—მის უვიცობას ამტკიცებენ. მართალია, მრეწველობას არა ერთი და ორი შეტაკება ქონია სახელმწიფოსთან, მაგრამ ეს იმ დროს იყო, როცა სახელმწიფოს ცოტათ თუ ბევრათ პატრიარქალური ხასიათი ქონდა, ფეოდალურ—აბსოლიუტური ინტერესი ჩასჩურჩულებდა მას, რომ კაპიტალისტის გულისთვის დამოუკიდებელ ოჯახების ათასობით გაქრობა რაღაც საშინელებაა და ეს სახელმწიფოს აბსოლიუტური ბატონობის გაქრობას მოასწავებს. მაგრამ მას შემდეგ დრონი იცვალენ, კაპიტალმა, რომელსაც შეუძლიან დიდებულ ადამიანების გულის დათრგუნვა, სახელმწიფოეთის „განათლებაც“ მოახერხა, მათაც თანამედროვე „სული“ ჩაუდგა, ასე რომ სახელმწიფოში ის ახლა გაბატონებულ ძალას წარმოადგენს. სახელმწიფოებში, სადაც კაპიტალმა ასეთი ალაგი დაიჭირა, მთავრობა კაპიტალისტების აშკარა და-

მცველათ გამოდის, რადგან იქ კაპიტალმა ყველა-ფერი დაიმორჩილა. მართალია, ჯერ კიდევ ბრძოლა სჭირდებათ იქ, სადაც ფეოდალურ წყობილებას და ძველი აბსოლიუტიზმის ნაშთებს მნიშვნელობა კიდევ შერჩენიათ და სადაც პარტრიარქალურ მისწრაფებას კიდევ აქვს ნიადაგი. მაგრამ ნამდვილ თანამედროვე ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ბელგია და საფრანგეთი, სადაც ფეოდალური ელემენტები სრულიად გამქრალია და ინგლისი, სადაც ფეოდალიზმს ძალა აღარ აქვს, ერთი სიტყვით, იმ ქვეყნებში, სადაც შარტოდ-მარტო კაპიტალია გამეფებული, სადაც ის ყოვლის შემძლეა,—სახელმწიფომ ბურჟუაზიის სამსახური უკვე დაასრულა და პირველობაც მას დაუთმო. რადგან ამ უკანასკნელ დროს ჩვეულებათ გადაექცათ ოჯახისა და ზნეობის გარყვნა სოციალისტებს გადააბრალონ, ამიტომ მეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ თვითონ ბურჟუაზიამ ჩაიდინა ყველაფერი ის, რის ჩადენაც კი ადამიანს შეუძლიან. განზრახ თავის თავის გაკოტრებულათ გამოცხადება, ყალბი ვექსილების და საბუთების შედგენა, სხვა და სხვა გვარ ამხანაგობათა დამაარსებლების მატყუარობა და ათას გვარი ხრიკები ბირჟაზე,—აი რაში გამოიხატება ჩვენი ბურჟუაზიის მაღალი ზნეობა. რომ არსებობდეს სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ კაპიტალისტების კლასიდგან რამდენი პროცენტი მჯდარა ციხესა და გა-

მასწორებელ სახლებში, „განათლებულთა“ და „მდიდარნა“ საკმაო რიცხვს მივიღებდით, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიცია პატარა ქურდებს უფრო გულმოდგინეთ იჭერს, ვინემ დიდებს. „ოჯახის დარღვევის“ საქმეში ბურჟუაზიამ კიდევ მეტი ქნა. განა ქორწინებას „მდიდართა“ და „განათლებულთა“ წრეში ათ შემთხვევაში ცხრას ვაჭრული ხასიათი არ აქვს? განა ამ წრის მამაკაცების სამი მეოთხედი არ დაისჯებოდა მრუშობისათვის, რომ მათი ცოლები უფრო სასტიკათ ეპყრობოდენ ქმრების ღალატს? ვინ შეედრება არისტოკრატიას აშკარა თუ ფარულ გარყვნილებაში? ამის პასუხი ისევ „შეძლებულებმა„ და „განათლებულებმა“ მოგვცენ.

საქმე ის არის, რომ კაპიტალი ყოველ გვარი დაბრკოლება სძლია სახელმწიფოს დახმარებით და ახლა ის იმდენად ძლიერია, რომ მართვა-გამგეობის სათავეში თვითონ წამოსკუპდა დი ამიტომ ძირს ყველა შევიწროვება „თავისუფალი შრომისა“ ესე. იგი ძირს ყველაფერი ის, რაც კაპიტალისტის მყვლეფაობას ხელს უშლის. ჩვენ ამას კარგათ ვხედავთ გერმანიაში. მთავრობამ შემოიღო მფარველობითი სისტემა და ათას გვარი სხვა შეღავათი მსხვილი მწარმოებლებისთვის; მოვიგონოთ თუნდ ეორბიგი ბერლინში, კრუპი—ესსენში, გარტმანი— ხემნიცში, კრამელკისტი— ნიურენბერგში და სხვა. როცა კაპიტალს მეტოქობის გაწევა შეუძლია ე. ი. როცა

კაპიტალისტის ჯოხი საკმაოთ ძლიერია და მუშები საკმაოთ დამონებული, მაშინ იწყება ბრძოლა იმ დაბრკოლებასთან, რომელიც კაპიტალს წინ ეღობება. თუ მუშას აუტანელმა ცხოვრებამ თავი მოაბეზრა, თუ ის ბევრს მუშაობს და მცირე ქირას ღებულობს, თუ ის თხოულობს სახელმწიფოსაგან სამუშაო დღის მოწესრიგებას, კაპიტალისტთა კლასს ბრაზი ერევა „თავისუფალი შრომის“ „წმინდა უფლების“ დარღვევის გამო; ჩვენი „დემოკრატია“ კი, რომელსაც მეშჩანურ-ეკონომიურ შეხედულებათა გავლენით მხოლოდ პოლიტიკური კითხვები აინტერესებს, კაპიტალისტების განგაშს ბანს აძლევს და ლოცვა კურთხევას უგზავნის.

სულ უკანსკნელ დროამდე ჟერმანიის სახელმწიფოებში დაწესებული იყო ეგრედ წოდებული ნიხრი ხელფასისა და არც ხაზინას, არც მუშას მისი დარღვევა არ შეეძლო. ამ კანონის დამრღვევს სასტიკი სასჯელი მოელოდა. ბურჟუაზიამ გააუქმა ასეთი ნიხრი და სამართლიანათაც მოიქცა; მაგრამ გააუქმა იმიტომ კი არა, რომ უსამართლობათ სთვლიდა მას, არამედ იმიტომ, რომ ამას თვითონ მისი ინტერესები ითხოვდენ, გამოირკვა, რომ წინეთ დაწესებული ხელფასის რაოდენობა საკმაოდ ვერ ჩაითვლებოდა, რადგან ყველაფერი გაძვირდა და ცხოვრების პირობები სრულიად შეიცვალა. ეს ასე, მაგრამ ბურჟუაზიის მოქმედების მიზეზი სულ სხვაა. საქმე

ის არის, რომ მას შეეძლო წვრილ წარმოებელთან შედარებით მეტი ქირა გაეღო; მისთვის მეტი მუშახელი იყო საჭირო; და ნიხრის არსებობა მის მოქმედებას ავიწროებდა. მხოლოდ როცა წარმოების სარბიელი გაფართოვდა, როცა განვითარდა დამოკიდებული მუშათა კლასი და ადამიანის შრომა მანქანამ უმეტეს შემთხვევაში მეტ ბარგათ გახადა, მაშინ მსხვილმა მწარმოებლებმა იწყეს მეცადინობა სამუშაო ქირის მოსაწესრიგებლათ, თუმცა ის დანიშნულ საზღვარს მაინც ვერ გასცილდებოდა.

მუშებმა რომ ხაზეინების ძარცვა-გლეჯის თავიდან ასაშორებლათ მინიმალური სამუშაო ქირის დაარსება მოითხოვონ (იმის მსგავსად, როგორც ხაზეინებმა ოდესლაც მაქსიმალური ნორმა შემოიღეს, რომ მუშების გადაჭარბებული მოთხოვნილებებისაგან თავი დაეხწიათ) ბურჟუაზიას ეს „შრომის თავისუფლების“ შეზღუდვათ მოეჩვენება და ერთ ამბავს ასტეხს. დიახ, ეს იქნება შეზღუდვა კაპიტალის ექსპლუატაციის თავისუფლების, იმ თავისუფლების, რომელიც სპობს ყველაფერს, რაც მუშას ასე თუ ისე იცავს. ეს, საიდუმლოდ ვეტყვი „დემოკრატიშე კორესპონდენცს,“ სავსებით ეთანხმება მანჩესტერულ პარტიის პროგრამას და პირდაპირ ეწინააღმდეგება ნიურენბერგისა და ეიზენახის, რის შესახებ იმდენი ჭორია გავრცელებული; ამას ჩვენ შემდეგ დავამტკიცებთ.

მაგრამ დაუუბრუნდეთ ჩემი სიტყვის გარჩევას.

მე დავამტკიცებ, რომ თანამედროვე სახლმწიფო კლასობრივი სახელმწიფოა, რომ მას განსაკუთრებით ბურჟუაზია ბატონობს, და ამიტომ მას არ აქვს და არც იძლევა სამრეწველო კავშირებისათვის საჭირო სახსარს, რაც ამხანაგურ წარმოებისათვის აუცილებელია. ვთქვათ, ბურჟუაზია ამის თანახმაა, გაბატონებულმა კლასებმა ეს განახორციელეს; მაგრამ ეს ხომ საკუთარი ინტერესების უარის ყოფაა, რადგან ასეთი მოქმედებით ბურჟუაზია არა მარტო მეტოქეს გაიჩენდა მუშა კლასში, ამით ის ისეთ ძალას შექმნიდა, რომელიც მის არსებობას სრულიად უნაყოფოთ გახდიდა და ამით მის ბატონობას ძირს გამოუთხრიდა. ეს იქნებოდა თავისი საკუთარი ხელით ყელის გამოჭრა, რასაც ბურჟუაზია თავის ნებით არაოდეს არ იზამს. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ მუშათა კლასმა თვითონ უნდა მოიპოვოს ძალა და ეს შესაძლებელიცაა, რადგან ის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს და მისი ლოზუნგი თანასწორობაა ე. ი. სამართლიანობა და არა მარტო თავისუფლება. საჭიროდ ვთვლი ერთხელ კიდევ გავიმეორო, რომ მუშათა კლასს მე ვუწოდებ არა მარტო დაქირვებულ მუშებს ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არამედ ხელოსნებსა, ღარიბ გლეხებს და ინტელიგენტ მუშაკებს—მწერლებს, სახალხო მასწავლებლებს და წვრილ მოხელეებს.

ცხოვრების თანამედროვე პირობებში იმითაც ავი-
წროვებენ და მათი მდგომარეობა ცოტათი თუ სჯობს ან
ან შეიძლება სრულადაც არა სჯობდეს დაქირავებული
მუშის მდგომარეობას. იმათ, ვინც შედარებით უკე-
თეს პირობებში იმყოფება, როგორც, მაგალითად,
ხაზეინი—ხელოსნები და დამოუკიდებელი ხაზეინი—
გლეხები, თანამედროვე ულმობელი პროგრესი გაქრ-
ობის მეტს არაფერს უქადის. ერთი სიტყვით, ეს
სხვა და სხვა კლასები ხალხის დიდძალ ნაწილს
შეადგენენ და რადგან საქმე თანასწორობას და სამა-
რთლიანობას ეხება, ამიტომ შეუძლებელია მუშათა
კლასმა ბატონობა ისურვოს. პირიქით ის იდეალი, რო-
მელსაც მუშები ეტრფიან, ისეთი დემოკრატიული
წყობილების განხორციელებას გვპირდება, რომლის
მსგავსი ჯერ კაცობრიობას არ უნახავს. მე იძუ-
ლებული ვარ ჩემი სიტყვის ამ ნაწილს დაწვრილე-
ბით შევეხო, რადგან გაზეთ „პოლიტ. ცაიტუნგს“
და ბევრს სხვა მოწინააღმდეგეთ არ ასვენებს აჩრდი-
ლი რაღაც ახალი კლასის ბატონობისა, სოციალ-
დემოკრატიის მიერ წამოყენებული საზოგადოების
ორგანიზაცია კი ამ ვაჟბატონების აზრით მხოლოდ
თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების„ დაპაჩი-
ნკებაა„. ერთი სიტყვით არსებული სახელმწიფო სა-
ხალხო სახელმწიფოდ უნდა იქცეს და ასეთ სახელ-
მწიფოში უმრავლესობის განკარგულებაში მყოფ სა
შვალებათა და ძალთა მეოხებით კერძო წარმოების

ალაგას ამხანაგური წარმოება უნდა შემოიღოს. ასეთ სახელმწიფოში თვით დახმარება ხალხის დახმარება იქნება, ხალხის დახმარება კი სახელმწიფოს დახმარება. ასე რომ სახალხო დახმარება და სახელმწიფო დახმარება ერთი და იგივე იქნება და არა ერთი მეორის წინააღმდეგი. ასეთ სახელმწიფოში პირველ ალაგს ხალხის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე ზრუნვა დაიჭერს, ამ განმანათლებელ მოღვაწეობას კი ხელს შეუწყობენ პარტიული კავშირები, სამრეწველო საზოგადოებანი და სხვა, დაარსება და გავრცელება შესაფერი ლიტერატურული ორგანოებისა და სხვა. ამ ორგანიზაციებს საერთა-შორისო ხასიათი ექნებათ; რადგან დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი პირობები ყველა კულტურული ხალხისათვის ერთნაირია, რადგან მრეწველობა და აღებ-მიცემობა — მთელი კაპიტალისტური წარმოება — ერთგვარ საერთა-შორისო ორგანიზაციას ემორჩილება, ამიტომ ბრძოლაც ამგვარივე ორგანიზაციის საშვალებით შეიძლება.

ამით გავათავე ჩემი სიტყვა. თუ რა საშვალებით შეიძლება ასეთი სახალხო სახელმწიფოს დამყარება, ამაზედ დაწვრილებით არ მილაპარაკნია და ახლაც მხოლოთ გაკვრით შევეხები ამ კითხვას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი რეფომა სერიოზული და მედგარი ბრძოლის ნაყოფია და არა ლამაზი სიტყვებისა და განკარგულებებისა. ფეოდალურმა წყო-

ბილებამ ათასგვარი ძალდატანებით განდევნა უფრო კომუნისტური ოჯახური და თემური წყობილება; სამაგიეროდ არა ნაკლები ძალდატანებით იქმნა ის მოსპობილი ბურჟუაზიის მიერ. საფრანგეთის ბურჟუაზიამ ისეთი უსაზღვრო სიძულვილი გამოიჩინა ფეოდალიზმისადმი, რომ 1789-სა და შემდეგ წლებში ის არა მარტო თავებს სჭრიდა ფეოდალურ აზნაურებს, მან წაართვა მათ სიმდიდრის წყაროც—მამულები და ხაზინას გადასცა. საქმის მსვლელობა დამოკიდებულია ასეთ შემთხვევაში იმაზე, თუ როგორი ენერგიით მოქმედობენ დაინტერესებული წრეები; დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წინააღმდეგობას გაუწევენ მოძრაობას მისი მტრები. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ეჭვს გარეშეა. რაც უფრო ძლიერია წინააღმდეგობა, მით უფრო მეტი ძალაა საჭირო ახალი წესყობილების დასამყარებლათ. რაც უნდა იყოს, ტკბილი სიტყვებით შეუძლებელია საკითხის გადაწყვეტა.

რადგან დაწვრილებით არ შევხებივარ იმის განხილვას, თუ „რა გზით“ შეიძლება სახალო სახალხოსმწიფოს დამყარება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარების განხორციელების შსახებაც ცოტა ვილაპარაკე, რადგან როგორც უკვე შევნიშნე, ამ ორ ცნებათა შორის განსხვავება არ არსებობს.

ახლა შევეხოთ იმ უმთავრეს განსხვავებას, რომელიც ჩვენ, სოციალ-დემოკრატებსა და „მეშჩანურ“

დემოკრატიას შორის არსებობს და რომლის წარმომადგენელი გაზეთი „პოლიტიშე კორრესპონდენც“-ია. „მეშჩანური“ დემოკრატია იმ აზრისაა, რომ პოლიტიკური თავისუფლება ყველაფერია, რის ნატვრაც კი შეუძლია ადამიანს; სახელმწიფომ მხლოდ მოქალაქეთა განვითარებაზე უნდა იზრუნოს და აგრეთვე სახელმწიფო გადასახადი ისე გაანაწილოს, რომ უსამართლობას ალაგი არ ჰქონდეს. ჩვენ ამას არ ვუარყოფთ, მაგრამ დარწმუნებული კი ვართ, რომ ეს არ კმარა. რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატიაც იმ აზრისაა, რომ სახელმწიფომ მოქალაქეთა თავისუფლება უნდა უზრუნველ ჰყოს, მაგრამ საჭიროა აგრეთვე, რომ ერთის თავისუფლებამ მეორე არ შეავიწროვოს. სანამ ეკონომიური თავისუფლება არ დამყარდება, პოლიტიკური თავისუფლებაც ყოველთვის თანასწორი არ იქნება. ეკონომიურად ძლიერს შეუძლია თავის ზნეობრივ გავლენას დაუმორჩილოს ეკონომიურად უძლური. სადაც არსებობს დამოუკიდებლობა, სადაც მუშა ხაზეინის მორჩილია და მისი ბედ-ილბალი ამ უკანასკნელის ხელშია, როგორც ამას თანამედროვე წესწყობილებაში ვხედავთ, ცხადია ხაზეინს შეუძლია მუშის პოლიტიკური უფლება დაამახინჯოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, გადაჭრით შეგვიძლია იმისი თქმა, რომ სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ თავის-

უფლებას იცავს, მუშას ბევრს ვერაფერს მისცემს. თუ მუშა პოლიტიკური თავისუფლებასა და კანონის წინაშე გათანასწორებას ითხოვს, ეს იმიტომ, რომ მის შემწეობით ეკონომიური დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

რა საჭიროა მისთვის პოლიტიკური თავისუფლება, თუ ის მშიერია, თუ მისი მდგომარეობა არ უმჯობესდება, თუ მას წინანდებურად ტყავს აძრობს კაპიტალისტი, თუ ის მთელ თავის სიცოცხლეს შრომობს და იტანჯება იმიტომ, რომ სიღატაკეში ამოუვიდეს სული; რომ სოციალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მარტო პოლიტიკური თავისუფლება არ კმარა,—ამას ნათლად გვიჩვენებენ ამერიკის და შვეიცარიის მაგალითები, ინგლისზე და ბელგიაზე ლაპარაკი ხომ მეტია, რადგან ეს ორი ქვეყანა ზოგიერთი დემოკრატის თვალში „თავისუფალი“ ქვეყანაა, რადგან მათი კონსტიტუცია სამაგალითოა. რომ მარტო პოლიტიკური თავისუფლება იყოს საკმაო, მაშინ ხომ ამერიკის და შვეიცარიის მუშებს საზრუნველი აღარა დარჩებოდათ რა. სასტიკად სცდება ის, ვინც ასე ფიქრობს. ამერიკაში მუშათა მოძრაობამ ამ ბოლო დროს საშიში ხასიათი მიიღო; ამისი მიზეზი ის არის, რომ ერთი მხრით, ამერიკის მრეწველობის განვითარებამ მრავალრიცხოვანი პროლეტარი შექმნა და მეორე მხრით, პოლიტიკური თავისუფლება ნებას აძლევს

მუშათა კლასს დაუბრკოლებლათ განვითარდეს. იქ ადგილი არა აქვს არც პოლიციის ოპეკას, არც პრესის შევიწროვებას, არც კავშირების აკრძალვას. ამასვე ვხედავთ ჩვენ შვეიცარიაში. ერთ-ერთს მეტად მნიშვნელოვანს განსხვავებას თავისუფალსა და ნახევრად თავისუფალ ან დესპოტიურ ქვეყნებს შორის შეადგენს ის, რომ პირველში მოძრაობა უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ და უფრო მეტი გავლენა აქვს. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ კანონის მიერ რვა საათის სამუშაო დღის შემოღება ჩრდილოეთ ამერიკაში და ახალი ციურიხის კონსტიტუცია, რომელიც სოციალისტური მართვა-გამგეობის ჩანასახს წარმოადგაენს.

ამ გვარად სოციალდემოკრატია პოლიტიკურ თავის უფლებას ისე უყურებს, როგორც საშუალებას და არა როგორც მიზანს; მიზანი კი ეკონომიური თანასწორობის დამყარებაა, ე. ი. ისეთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც სრული თავისუფლების და თანასწორობის პრინციპზე იქნება აგებული. თავისუფლება კარგავს თავის მნიშვნელობას იქ, სადაც იმით სხვების წინააღმდეგ სარგებლობენ, ე. ი. სადაც თანასწორობა არ არსებობს. «დემოკრატიშე კორესპოდენტს“ სურს გაიგოს, როგორ მესმის მე ამ ეკონომიური თანასწოროების დამყარება, ან იმისი სიტყვებით, რომ ვსთქვათ, რა აზრისა ვარ მე სახელმწიფო დახმარების შესახებ: რაში უნდა ვეძი-

ოთ მისი დასაწყისი, როგორი იქნება მისი დასასრული და რაგვარათ შეიძლება მისი განხორციელება. ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ ორი გარემოება იყო ისეთი, რომელმაც შტუტგარტის კრებაზე ამ კითხვის უყურადღებოთ დატოვება მაიძულა. პირველი ის, რომ საჭირო იყო თანამედროვე ეკონომიური წესწყობილების დახასიათება და მისი ვრცელი კრიტიკა, მისი უნიადაგობის და შეუსაბამობის გამოაშკარავება. თუ რამდენათ მივახწიე ამ მიზანს, ეს იქიდან სჩანს, რომ ჩემ აუარებელ მოწინააღმდეგეთაგან არცერთს აზრადაც არ მოსვლია ჩემი კრიტიკა თანამედროვე წესწყობილებისა დაერღვია; ყველანი ამხედრდენ მხოლოდ ჩემ მიერ დასურათებული მომავალი საზოგადოების ორგანიზაციის წინააღმდეგ. მეორეც ის, რომ თანამედროვე წარმოების წესთან ერთად მე იძულებული ვიყავ კრიტიკის ქარცეცხლში გამეტარებია ის ზომები, რომელმაც ვითომ უნდა მოსპოს ამ წყობილების მიერ გამოწვეული მრავალი აუტანელი პირობები, რასაც ჩვენი მტრებიც კი ვერ უარჰყოფენ; რომ მე ამ მიზანსაც მივახწიე ეს სჩანს იქიდან, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეთ კრინტიც არ დაუძრავთ ამ კითხვის შესახებ.

მე უსათუოდ აგრე უნდა მოვქცეულიყავ, რადგან საჭირო იყო არსებულ წესწყობილების და მის გასაუმჯობესებლათ ნაჩვენები ზომების უვარგისობის დამტკიცება, რომ ამით ჩვენი პრინციპების დასამყა-

რებლათ გზა გამეწმინდა, მაგრამ თანამედროვე წყობილების და მასთან შეკავშირებულ ისტორიულ მსვლელობის კრიტიკამ იმდენი დრო წამართვა, რომ პროგრამის დადებით მხარეს მხოლოდ მოკლედ უნდა შევხებოდი. მართალი რომ სთქვას კაცმა, არც კი იკო საჭირო მისი დაწვრილებით განხილვა, რადგან არსებული წყობილების შესწავლა ცხადათ გვიჩვენებს, თუ რა გზას დაადგება საზოგადოებრივი ცხოვრება მომავალში, დაწვრილებით დასურათება იმ მოვლენათა, რომელთაც მხოლოდ თეორიაში აქვთ ალაგი, მოუხერხებელია, იმიტომ რომ მკვლევარი შორდება კონკრეტულ პირობების საზღვრებს, ის იხლართება საკუთარი ფანტაზიის ქსელში და ეს ბადებს აზრთა სხვადასხვაობას, რაც თავის თავათ ქრება თეორიის განხორციელების დროს —ბუნებრივი გზის მაჩვენებლად ისევ დრო გამოდის. საკვირველია ჩვენი პრინციპების უარის მყოფელნი ისე ენას არ დასძრავენ, რომ არ გვისაყვედურონ: თქვენი იდეალის ერთბაშათ განხორციელება შეუძლებელიაო.

მაგრამ ვის შეუძლია მოგვთხოვოს ჩვენი სურვილის ერთი დაკვრით განხორციელება, როცა ჩვნი ძალ-ღონე იმ წყობილების დანგრევას უნდება, რომელიც რამდენიმე ას წელიწადს იდგამდა ფეხს და დღეს გადაგვარების გზას ადგია. დიდ სისუსტეს იჩენენ ისინი, რომელნიც თავს ანებებენ თუ ვერ ბედვენ არსებული წყობილების დაცვას და ჩვენ მიერ

ნაჩვენებ ზომების კიცხვას უნდებიან, თვითონ კი არ-ას ამბობენ... ალბად იმიტომ, რომ არაფრის თქმა არ შეუძლიათ.

რომ თავიდან ავიცილო საყვედური, ვითომ საზოგადო ფრაზების შემწეობით საკუთარი უძლურების მიფუჩეჩება მინდოდეს, მე ვეცდები, რაც შემეძლება დაახლოვებით განვიხილო პირველი კითხვა, რომელიც „დემოკრატიშე კორესპონდენც“-მა დააყენა. აი ეს კითხვა: ვის უნდა მოუმართოს ხელი ეგრედ წოდებულმა სახელმწიფო დახმარებამ?

ამ კითხვაზე მე კიდეც ვუპასუხე. მუშათა კლასად მე ვთვლი არა მარტო დაქირავებულ მუშებს, არამედ წვრილ ხელოსნებს და ღარიბს გლეხებს,— ერთი სიტყვით მარტო მოჯამაგირეებს კი არა, დღიურად მომუშავეთაც. წვრილი გლეხიც იმავე ტაფაში იწვის, ხან უფრო ცუდშიც, როგორათაც წვრილი ხელოსანი, როგორც წვრილი ხელოსანი იტანჯება მსხვილი მრეწველობის გავლენით, რომელიც თან და თან ფასს უკარგავს მის წარმოებას, აიაფებს ნაწარმოებს და სხვის სამუშაო ძალით სარგებლობის საშუალებას უსპობს, აგრეთვე იტანჯება წვრილი მემამულე. დიდი სახელმწიფო გადასახადები, დიდი პროცენტები კაპიტალზე, რომელსაც ის სესხულობს მიწის სასყიდლად, ან უკეთესი იარაღების შესაძენად, მსხვილი მრეწველობა, ქალალდის ფულის სპეკულიაცია, სახელმწიფო მეურნეობის წე-

სი, —ყველაფერი ეს ისე მოქმედობს, რომ მისი შემოსავლის დიდი ნაწილი გადასახადებს და ვალებს უნდება.

მისი მიწის ნაწარმოები კარგი ღირსების ვერ იქნება, რადგან მისთვის მიუწდომელია გაუმჯობესებული კულტურა-მანქანების შემწეობით, რაც მდიდარი მემამულეებისათვის ადვილია. მის მიწაზე იმდენი ბალახიც კი არ მოდის, რომ ძროხები გამოიკვებოს, ამიტომ ის იძულებულია ნეხვი იყიდოს და თვითონ კი ათას გვარი გაჭირვება აიტანოს; საკმაოა რამდენჯერმე ზედიზედ ძლიერ კარგი ან ძლიერ ცუდი მოსავალი იქნეს, და მას გაკოტრებისაგან ველარაფერი იხსნის. ის იძულებულია გაყიდოს თავისი მამული და მდიდარ გლეხს დაუდგეს მოჯამაგირედ ან სადეე ფაბრიკაში ლუკმა პური ეძიოს.

ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატია დღემდის შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა გლეხებს, არ აიხსენება არც გლეხთა ცხოვრების უცოდინაროობით და არც იმით, ვითომ ეგოიზმი ნებას არ აძლევდა ქალაქის მუშას სოფლის მუშაზე ეფიქრნა, როგორც ეს „დემოკრატიშე კორესპონდენც“-ს ჰგონია; პირიქით ამისი მიზეზი ის იყო, რომ უფრო განვითარებული და მრავალრიცხოვანი ქალაქის პროლეტარიატი ისე ძლიერ საჭიროვებდა პროპაგანდას და გზის ჩვენებას, რომ თითქმის მთელი დრო და ძალები მას უნდებოდა. ან კი რა ნაყოფი უნდა

გამოელო გლეხთა საკითხის განმარტებას, როცა სოფელი დღესაც გულგრილათ ემორჩილება თავის ხვედრს. სოციალდემოკრატიას საკმაო ქონებრივი შეძლება არ აქვს სოფლებში აგიტაცია გასწიოს, რაც ძლიერ ბევრ ხარჯს მოითხოვს, რადგან გლეხები სხვა და სხვა სოფლებში არიან გაფანტულნი. მე ცოტა არ იყოს გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ გლეხთა საკითხს ასე თანაგრძნობით მიეგება „დემოკრატიშე კორესპოდენც“-ი, რომელმაც სოფლის პროლეტარიატის მდგომარეობის საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა გამოიჩინა. იმას ხომ უკანასკნელი ადგილი არ უკავია მათ შორის, ვინც აღშფოთებული იყო ბაზელის კონგრესის თავხედობით, რომელმაც მიწათმფლობელობის შესახებ თავისი საკუთარი აზრი გამოსთქვა. შეიძლება მითხრან; „ჩვენი უკმაყოფილება იმას კი არ გამოუწვევია, რომ ბაზელის კონგრესმა ეს საკითხი განიხილა, ჩვენ არ მოგვწონს თითონ გადაწყვეტილებაო.“ კარგი! მაგრამ რადგან „დემოკრატიშე კორესპოდენც-“ს არა მარტო სწამს სოფლის პროლეტარის გაჭირვება, არამედ ეს გაჭირვება შესწავლილიც აქვს, ამიტომ ჩვენ ვეკითხებით მას, შეიძლება თუ არა გლეხთა კითხვის სხვანაირათ გადაჭრა, ვინემ ამას ბაზელის კონგრესი შვრება. ამ კითხვას ჩვენ ისევ დავუბრუნდებით. ის, რაც „დემოკრატიშე კორესპოდენც-“ს „ორიგინალურად“ მიაჩნია ჩემ სიტყვაში,—სახელდობრ გლეხთა

საკითხის გვერდის ახვევა,—აიხსნება იმით, რომ ჩემ განკარგულებაში ერთობ ცოტა დრო იყო და თან იძულებული ვიყავი ჩემი მსმენლებისათვის (რომელნიც ფაბრიკის მუშებისგან შესდგებოდენ) ჩვენი თვალთა ხედვის ისარი გამერკვია; მეორე მხრით—მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბაზელის კონგრესის გადაწყვეტილება რაიმე შეკითხვას გამოიწვევდა, მაგრამ ეს არ მოხდა. თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ამ გარემოებას ჩემსავით არავინ არ გაუკვირვებია. კითხვის მეორე მხარე, რომელიც „დემოკრატიშე კორესპოდენც—“ის აზრით, მე აღვნიშნე, ეხება მუშა ქალების მდგომარეობას. ეს კითხვა თავისთავად გადაწყდება იმ წყობილებაში, რომელშიაც წარმოების შეცვლილი წესი იქნება შეტანილი. მაშინ ქალი აღარ იქნება კაცის მეტოქე და არც მისი მორჩილი. ორივე სქესს თანასწორი უფლება მიენიჭება; თითეული იმათგანი ჩაყენებული იქნება იმ სამოქმედო წრეში, რომელიც უფრო შეესაბამება მის ნიჭს და მიდრეკილებას და საზოგადოებას მეტ სარგებლობას მოუტანს „მომავალი“ საზოგადოებრივი წყობილება ერთნაირად კარგი იქნება როგორც მამაკაცისათვის, ისე დედაკაცისათვის.

აუცილებელი საზოგადოებრივი შრომა ეხლანდელთან შედარებით მინიმუმამდი ჩამოვა, რადგან შრომის ორგანიზაცია გონივრულად მოეწყობა და თან და თან გაუმჯობესებული მანქანები იქნება შემო-

ტანილი; წვალების ნაცვლად ის სიამოვნების წყაროდ გადაიქცევა; დაქანცვას იქ ალაგი აღარ ექნება. სახლის მორთულობა ახალ პირობების დაგვარად შეიცვლება, ის ეხლანდელთან შედარებით უფრო გაუმჯობესებული და გაკეთილშობილებული იქნება. ბავშვების აღსაზრდელად დროც საკმაო გადარჩება და საზოგადოებრივი ხარჯიც; ცალკე პირებს განსაკუთრებული ჯაფის დახარჯვა აღარ მოუნდებათ. ბავშვები პატარაობიდანვე ერთმანეთთან ცხოვრებას შეეჩვევიან, მათთვის დანიშნული იქნება საზოგადო აღზრდა, რასაც ახლაც მისდევს ბურჟუაზია ეგრედ წოდებულ საბავშო ბაღებისა და პანსიონების შემწეობით (მართალია ისიც, რომ კარგი პრინციპის ცუდათ განხორციელება შეიძლება), და ამ საქმეში ქალს შეძლება ექნება ადამიანური მდგომარეობა მოიპოვოს, ის მამაკაცის ღირსეული ამხანაგი გახდება.

ის არ იქნება, თანამედროვე მუშის ცოლსავით მონა და შინაური პირუტყვის მაგიერი, მას აღარ ექნება იმის შიში, რომ უსირცხვილო ბურჟუაზია და მისი დამქაშები შეაცდენენ და ნამუსს ახდიან, სანამ ის ლამაზი და ახალგაზდაა; ის აღარ იქნება მხოლოდ ოჯახის დამამშვენებელი, რასაც ჩვენ დღევანდელ ბურჟუაზიულ წრეში ვხედავთ, აღებმიცემობის საგანი და ბავშვების გასაკეთებელი მანქანა,—რომლის მიზანია თავისი ქრმის და ბრძანებელის ქონების ჩასაბარებლად მემკვიდრეები და-

ბადოს. ის საშუალება, რომელსაც ქალთა კითხვის გადასაწყვეტად „დემოკრატიშე კორეს-პოდენც“—ი გვირჩევს (მუშაობა კანტორებში, ბანკებში და სხ.) ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია. არა სათნოება და კაცთმოყვარეობა აიძულებენ მთავრობას და ბურჟუაზიას ფაბრიკას გარდა ამ დაწესებულებებშიაც ამუშაონ ქალები; ისინი იქცევიან ასე დაზოგვის და მოსაგების სიყვარულით. დედაკაცის შრომა უფრო იაფია მამაკაცისაზე—აი სად უნდა ვეძიოთ კაცთმოყვარეობის სათავე! შემოიღეთ ქალის შრომა და ეს კაცის შრომას ფასს დაუკარგავს; ცოლი და ქმარი იმდენ ქირას აიღებენ ერთად, რამდენსაც წინეთ მხოლოდ ქმარი იღებდა. ეს ღუპავს ქმარსაც და ცოლსაც და მათთან ერთათ ძირს უთხრის მთელ ოჯახს.

დეე, აყვავდეს შრომის „თავისუფლება“... ბე მინდოდა მეთქვა, ექსპლუატაციის თავისუფლება.

მაშ, როგორ უნდა განხორციელდეს სახელმწიფო დახმარება? რაში უნდა გამოიხატოს ის და რამდენი ფული იქნება საჭირო მისი განხორციელებისათვის? აი ის მთავარი კითხვები, რომელსაც „დემოკრატიშე კორესპოდენც“ი იძლევა.

ის ამბობს: „ლასალი ასი მილიონის შემწეობით ფიქრობდა ამ დიდი სნეულების განკურნას! ბებელის გამოანგარიშებით მუშების რიცხვი დაახლოვებით 10 მილიონს უდრის; თითო კაცზე მოდის სულ

ათი ტალერი—ეს ისეთი უმნიშვნელო თანხაა, რომ ამაზე ფიქრიც არავის მოუნდება!!

ახლა გავეცნოთ თვითონ ლასალს. თავის პოლემიკაში შულცე დელიჩის წინამღდეგ ის, სხვათა შორის, აი რას ამბობს: „მაგრამ ბ. შულცემ შეჰყვირა: სად ვიშოვნოთ ის ათასი მილიონები, რომელიც ამისთვის საჭიროა? როგორც ხედავთ, მათ თქვენი შეშინება უნდათ. ათასი მილიონები აქ სრულებით საჭირო არ არის. წარმოიდგინეთ ერთ წუთს, რომ ჩვენი მიზნის მისაღწევად მხოლოდ ასი მილიონი ტალერი გვაქვს. პირველ დროსთვის ეს სრულებით საკმაო იქნებოდა, იმაზე გაცილებით მეტი, რაც პირველი კავშირის დაარსებისათვის მოგვინდებოდა! კაპიტალი ჩვეულებრივად ხუთ პროცენტს იძლევა, მაგრამ ეს პროცენტი უნდა გავარჩიოთ იმ შემოსავლისაგან, რომელსაც რომელიმე სამრეწველო საქმე იძლევა. კაპიტალის პროცენტს კაპიტალისტი იღებს ჯიბეში. ეს ხუთი პროცენტი წელიწადში ხუთ მილიონ ტალერს მოგვცემს, რასაც ისევ მუშათა კავშირების დაარსებას მოვახმართ. პროცენტი თავის მხრივ პროცენტს მოგვცემს და ეს თოთხმეტი წლის განმავლობაში ჩვენ კაპიტალს ერთი ორად გაადიდებს, ასე რომ ჩვენ ხელში 200 მილიონი მოგროვდება, რაც წლიურად 20 მილიონს მოგვიტანს და ამ ფულსაც კავშირებს მოვახმართ. წარმოიდგინეთ ეხლა, რომ ერთი მილი-

ონი ტალერი 4000 სხვა და სხვა დარგის მუ-
შას მისცემს სამუშაოს, ეს რიცხვი ვარაუდათ არის
აღებული და ყოველ შემთხვევაში ის ნამდვილზე
უფრო პატარაა. მართალი რომ თქვას კაცმა, რი-
ცხვს აქ არც კი აქვს მნიშვნელობა, მხოლოდ მაგა-
ლითისათვის არის აღებული. ასე რომ ასი მილიონი
ტალერით ისეთი კავშირის შედგენა შეიძლება, რო-
მელიც ოთხას ათას მუშას დაიტევს! მათი ოჯახებიანა
ეს შეადგენს 2 მილიონ მცხოვრებს, თუ საშუალო
რიცხვით ოჯახში ხუთ-ხუთ წევრს ვიანგარიშებთ;
ათი მილიონი წლიური პორცენტი თავისუფლებას და
კეთილ დღეობას მოუპოებს კიდევ ორმოც ათას
მუშას, რაც მათ ოჯახებთან ერთად შეადგენს ორას
ათას მცხოვრებს! პირველ თოთხმეტ წელიწადს,
როცა წლიურად მხოლოდ ხუთი მილიონი გვექნება
შემოსავლი, სახსარს მივსცემთ, აგერეთვე ორას ათას
მუშას მათი ოჯახობით. ამ გვარად ჩვენ გვექნებოდა
საშუალება ყველა მუშა, მთელი მუშათა კლასი,
გაჭირვებისაგან დაგვეხსნა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.
თქვენ ხომ კარგად იცით, რომ მრეწველობის ერთი
დარგი მეორესთვის მუშაობს: ერთი ამზადებს ნედლ
მასალას, მეორე კი ამ მასალისაგან ფაბრიკის ნაწა-
რმოებს; მეტყავე მუშაობს მეწაღესათვის, მაუდის
ფაბრიკა მკერავისათვის, რკინისა და ფოლადის მკე-
თებელი—მანქანების ამშენებლისათვის, ეს უკანა-
სკნელი კიდევ სხვა სპეციალისტებისათვის და სხვა.

ამიტომ, მაგალითად, რომ შეეადგინოთ 70 ან 80 ასოციაცია სხვა და სხვა დარგის მუშებისაგან მე-71-ისთვის ახალი თანხა სრულიად აღარ იქნება საჭირო. მხოლოდ პირველმა 70-მა კრედიტი უნდა მისცეს, რაც ახალი ასოციაციისათვის საკმაო იქნება, რადგან საჭირო მანქანებს და ნედლ მასალას ძველი ასოციაციები ვისცემენ. თუ არსებობს 71 ასეთი ასოციაცია სამოცდა მეთორმეტეს ფული აღარ მოუნდება; თუ იმათი რიცხვი 150 მდე ავიდა, სულ ადვილად შეიძლება კიდევ სხვა-ოცის დაარსება, ასე რომ, როგორც თქვენ ხედავთ, ჩემი ანგარიშით ახალი შეძენილი ხუთი და ათი მილიონით შეიძლება 20 ათასი და 40 ათასი მუშის უზრუნველ ყოფა. ნამდვილად კი ეს რიცხვი უფრო დიდი იქნება; თქვენ ხედავთ, რომ ასეთი ასოციაციების გამრავლება ყოველ წელიწადს ახალ-ახალი ასოციაციის დაარსებას გამოიწვევს. ეს კი თავისუფლებისა და კეთილდღეობისაკენ გაგვაქანებს.

ამ გვარად თქვენ ხედავთ, რომ უზარმაზარი თანხა—„ათასი მილიონები“ საჭირო არ არის; ასი მილიონი ჩვენი ფიქრით მთელ გერმანიას ეყოფოდა. მაგრამ სად უნდა ვიშოვნოთ ეს ასი მილიონი? ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ სახელმწიფო საკუთარი ჯიბიდან გამოიღებს ამდენ ფულს; ეს კი, ბატონებო, დიდი შეცდომაა; ვინც ასე ფიქრობს, მას საფინანსო მეცნიერების და კრედიტის და ფულის დანიშნუ-

ლების არა გაეგება რა. ჩემ წერილში მე უკვე მოგახსენეთ, რომ საჭირო თანხის, ე. ი. საჭირო კრედიტის შექმნა სახელმწიფოს სულ ადვილად შეუძლია, არავის ზედმეტი კაპეიკის გადახდაც კი არ მოუნდება. მაგრამ დავანებოთ ამას თავი. წარმოიდგინეთ ერთი წუთით ყველაფერი ეს ყალბათ და გადაჭარბებულათ: წარმოიდგინეთ, რომ სახელმწიფო იძულებულია ეს ასი მილიონი დაუყოვნებლად დათვალოს. მერე რა, ბატონებო, განა არაოდეს არ დაუწყიათ ისეთი ომი, რომელსაც ორჯერ მეტი მონდომებოდეს? მერე რისთვის ომობენ? გასულ საუკუნეში არა ერთხელ დაღვრილა სისხლი მეფის საყვარლების ჟინის მოსაკლავათ; ჩვენი დროში ომობენ ან მმართველობის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ან ბურჟუაზიის კერძო ინტერესების გულისთვის. ომს, რომელიც მეორმოცე წლებში ინგლისსა და ჩინეთს შორის ატყდა, ორჯელ მეტი ხარჯი მოუნდა, მისი მიზანი კი ის იყო, რომ ჩინელები ოპიუმით მოეწამლათ; ომის მიზეზი, მაშ ბურჟუაზიის პირადი ინტერესები იყო. ყოველგვარ საქმისთვის—გაბატონებულ კლასების პირადი ინტერესებისათვის, მმართველების ჟინის მოსაკლავად ას და ორას მილიონს ხარჯავენ. განა ფულს მაშინ უნდა გაფრთხილება, როცა საქმე ხალხის შველას ეხება?

მაგრამ იქნება ისევ მკითხონ: საიდან უნდა შევიძინოთ ეს ასი მილიონი? ბატონებო! მე არა-

მსურს და არც შეძლება მაქვს თქვენს წინაშე ფინანსიური თეორია დავასაბუთო, მაგრამ საჭიროდ ვთვლი თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, თუ რა ადვილია, თითქმის თამაშობაა ამ ასი მილიონის შეძენა, ასე რომ საწყალ გლეხს სრულიად არ დაეხარჯება რა, რასაც ლიბერალური პრესა უფრთხის. მე ვაყენებ ასეთ კითხვას: რა საფუძველზეა დამყარებული ბანკი, რომელიც ბანკის ბილეთებს უშვებს ხოლმე. აი რაშია საქმე. თუ რომელიმე ბანკს ასი მილიონი სათადარიგო თანხა აქვს, მას შეუძლია 400 მილიონის ბილეთები გამოუშვას; ეს დამყარებულია იმ გამოცდილებაზე, რომ ჩვეულებრივ ბილეთების პატრონების მეოთხედი თუ მოითხოვს ერთ და იმავე დროს ბილეთების ფულზე დახურდავებას. აი ამ საფუძველზეა აშენებული ყველა ევროპიული ბანკები რომელნიც ბანკის ბილეთებს უშვებენ. ეს მოვლენა სოციალური ფაქტია, რომელიც ყველა ადამიანის ბუნებაში სძევს. არავის არ შეუქმნია ეს ფაქტი: არც ივანეს და არც პეტრეს. ეს მხოლოდ ელემენტარული სოციალური კანონია, როგორც სხვა რომელიმე ბუნების კანონი. ვისაც შეუძლია ამ კანონით სარგებლობა ის იძენს 300 მილიონს, მაგრამ ისე კი, რომ არავის არ ართმევს; ბანკის ბილეთების პატრონს, ამ დაწესებულების ნამდვილ კრედიტორს, ეს ბილეთები ისეთსავე სამსახურს გაუწევენ, როგორც ვერცხლის ფული. საჭიროა აგრეთვე გავიგოთ, ვინ იქნება ასეთი

ბანკის კრედიტორი? მე, თქვენ, ჩვენ ყველანი, თვითეული, ვისაც ჯიბეში ტალერი მოეპოება, რომელიც ერთი საათის შემდეგ მეორე პირის ხელში გადადის.

ერთი სიტყვით, ვისაც ამ ფაქტით სარგებლობა შეუძლია, 300 მილიონს იძენს ისე, რომ არავის არაფერს არ ართმევს. შესაძლებელია ეს მოვლენა მუშებისა და არა კაპიტალისტების სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

ის, რაც ყველას კუთვნილებას შეადგენს, რაც-საერთო და არა ინდივიდუალურ მოქმედებაში იხატება, საერთო მიზანს ე. ი. სახელმწიფოს უნდა მოხმადეს! ცხადია, სახელმწიფო არ უნდა აძლევდეს კონცესიებს კერძო საზოგადოებებს, რომელიც ბანკისბილეთებს უშვებს. ეს დაწესებულებანი და ფულის მოჭრა სახელმწიფოს განკარგულებაში უნდა იყოს. ერთი სიტყვით, ჩვენთვის საჭიროა ნემეცური სახელმწიფო ბანკი, სახელმწიფო ბანკი გერმანიისა და მაშინ.. აი ხომ ხედავთ, ბატონებო, სახელმწიფოს ორჯერ და სამჯერ მეტი თანხის შეძენა შეუძლია ასოციაციების დასახმარებლად და საწყალ გლეხებს ერთ. ფენინგიც კი არ დაეხარჯებათ“ ლასალის მიერ მოყვანილი. საბუთებიდან „დემოკრატიშე ცაიტუნგი“ გაიგებს, რომ რაღაც ას მილიონსაც შეუძლიან საკმაო სამსახური გაუწიოს მუშებს. ყოველ შემთხვევაში ის იკმარებს უსაჭიროეს მოთხოვნილებთა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ 100 მილიონი გერმანიისთვის არაფერს არ წარმოადგენს. 1866 წლის ომს 400 მილი-

ონი მოუნდა. ჩრდილოეთ—გერმანიის კავშირმა სამი წლის განმავლობაში ორას მილიონზე მეტი დახარჯა თავის სამხედრო სისტემის განსახორციელებლად*.) ეს ისეთი ხარჯებია, რომელსაც სახალხო სახელმწიფოში ალაგი არ ექნება. შესაძლებელია აგრეთვე ბევრი სხვა ხარჯების შემოკლება და შემოსავლის ახალი წყაროს აღმოჩენა. რადგანაც რკინის გზები, მადნები და მღვიმე-მაღაროები შეადგენენ, ჩვენი ფიქრით, საზოგადო საკუთრებას ე. ი. სახელმწიფოს საკუთრებას (გზები, როგორც მისვლა-მოსვლის და აღებ-მიცემობის საშუალება, მადნები, როგორც სიმდიდრე, რომელიც არავის გაუკეთებია და ამიტომ ყველას უნდა ეკუთვნოდეს), სახელმწიფოს საშუალება აქვს საზოგადო სამუშაო შემოიღოს, რკინის გზები, მარილის მადნები, მღვიმე-მაღაროები, აი სად შეიძლება პირველად კოოპერატიული შრომის შემოღება. სახელმწიფო მიწები, რომელთა რაოდენობა ზემო ნაჩვენებ საშუალებით გამრავლდება, პირველ ადგილს დაიჭერენ სოფლის კოოპერაციაში (სოფლის :მხნაგობანი).

---

*) ეს დაიწერა 1870 წელს „სახელოვანი“ ომის დაწყებამდე. ამიტომ მეტი არ იქნება დავუმატო, რომ ის ხარჯები რომელიც ჩერმანიას და საფრანგეთს მოუვიდათ, არც კი მოუნდებოდა ლასალის იდეალის განხორციელებას. სხვათაშორის იმასაც ვიტყვი, რომ მე არ ვეთანხმები ლასალს და სოციალური კითხვის გადასაწყვეტად უფრო რადიკალურ ზომებს ვთვლი საჭიროდ.

ერთი მხრით საზოგადო სიმდიდრის დაზოგვა და მეორე მხრით მისი გამრავლება დემოკრატიულ ორგანიზაციის მეოხებით საკმაო თანხას მოგვცემს მწარმოებელთა საზოგადოებების გასამრავლებლათ მათი გამრავლება თან და თან ამოკლებს კერძო მწარმოებელთა რიცხვს. ამათთვის კაპიტალი უსარგებლო გახდება იმ უბრალო მიზეზით ,რომ აღარსად იქნება მუშა ხელი, რომ ეს კაპიტალი გაადიდოს, ბოლოს და ბოლოს ესენი იძულებულნი გახდებიან თავის კაპიტალები სახელმწიფოს გადასცენ, რადგან სხვა გზა მათ აღარ ექნებათ. კერძო საკუთების მეთაურები, მისი გაუმების შემდეგ საზოგადო წარმოებას მიემხრობიან და ეს მით უფრო სასიამოვნო იქნება მათთვის, რადგან მოსაგების სრულ ნაწილს მიიღებენ.

ამნაირად საკმაოდ მოგროვდება„ ვაჭრული გამჭრიახობა„ რომელიც „დემოკრატიშე კორესპოდენც-"ის აზრით ბუნების ჯილდოთ უნდა ჩაითვალოს; გარდა ამისა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახალხო განათლება, რომელიც მომავალ სახელმიფოში ჯეროვნად იქნება მოწყობილი, ამ „ვაჭრული გამჭრიახობით" დაჯილდოვებულებს ბლომად მოგვცემს, ასე რომ საზოგადოებაში ამ მხრით ნაკლულევანება არ იქნება.

მაშინ „დემოკრატიშე კორესპოდენც-"საც, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის მწარმოებელს, შეძლება მიეცემა სტამბის მუშების და გა-

მომცემლების ასოციაციაა დააარსოს, რომელიც მას და მის მუშებს, ეუმნიშვნელო დღიური ქირის მაგიერ, შრომის სრულ ღირებულებას მისცემს. „სახელმწიფო დახმარება“ რომ ლიტერატურულ პროლეტარიატსაც დიდ სარგებლობას მოუტანს, ამას ვერც „დემოკრატიშე კორესპონდენც-ი“ უარყოფს.

ერთი სიტყვით სახალხო სახელმწიფოს ცხოვრების სახსარი არაოდეს არ გამოელევა. საჭიროების დროს ის, როგორც ყველა სხვა რესპუბლიკანური სახელმწიფო ადვილად შეიძლებს კრედიტის შოვნას ავსტრიამ, 5000 მილიონი გულდენი აიღო სესხად. და რა თქმა უნდა არა ხალხის საკეთილდღეოდ. საფრანგეთის მეორე იმპერიის ვალები 12,000 მილიონ ფრანკამდე ადიოდა. ამდენი ფულით სახალხო სახელმწიფოს თამამად შეუძლია წარმოების ახალი წესის შემოღება.

მწარმოებელთა საზოგადოებების მოწყობა გაცილებით უფრო ადვილია, ვინემ ეს პირველი შეხედვით გვეჩვენება. ამ საქმეს შესამჩნევად გააადვილებს ის გარემოება, რომ თანამედროვე წარმოებაში შემოღებულია შრომის ფართე განაწილება, გაუმჯობესებული მანქანები და ერთ ადგილას მრავალი სხვა და სხვა დარგის მუშა თავმოყრილი. რაც უფრო მალე მიიღებს წარმოება მსხვილ მრეწველობის ხასიათს (ფაბრიკა), მით უკეთესია ჩვენთვის: წარმოების ახალი წესი ადვილად დამყარდება. რაც უფრო ვითარდება მრეწვლლობა, მით უფრო

კლებულობს ხაზეინების, კერძო მესაკუთრეების რიცხვი, მრავლდება მუშათა კლასი და კერძო მესაკუთრეების ეკსპროპრიაცია ადვილდება.

წარმოების თანამედროვე წესი, შრომის განაწილება და მანქანების ხმარება არა თუ დაცული იქნება მომავალ სოციალურ სახელმწიფოში, უფრო განვითარდება კიდეც. სამაგიეროდ მის მიერ შექმნილი სიმდიდრით ყველა ისარგებლებს და არა ერთი და ორი პირი, როგორც ეს დღესა ხდება. დღეს რომ გამოიგონოთ ისეთი მანქანა, რომელიც მხოლოდ ერთი კაცის შრომას მოყავს მოძრაობაში და წინანდელთან შედარებით 50 ჯერ უფრო ჩქარა მუშაობს, ეს მუშების მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს. ასეთი მანქანა მხოლოდ თვალყურის დევნებას მოითხოვს, წინანდელთან შედარებით ნაკლები ფიზიკური ძალა იქნება საჭირო, რაც საშუალებას მისცემს კაპიტალისტს უფრო იაფ სამუშაო ძალას მიმართოს, მამაკაცის მაგიერ ქალი ან ბავშვი დაიქირავოს. ის გარემოება, რომ ახალი მანქანის შემწეობით 50 ჯერ მეტი ნაწარმოების დამზადება იქნება შესაძლებელი, მრავალი მუშისთვის სამუშაოს დაკარგვას გამოიწვევს; არსებობისთვის ბრძოლა ამათ აიძულებს ერთმანეთს მეტოქეობა გაუწიონ და ეს სამუშაო ქირას კიდევ უფრო დასცემს. ამ ნაირად ყოველგვარი პროგრესი, ყოველი ახალი გაუმჯობესება ამდიდრებს კაპიტალისტს და აღარიბებს მუშას. ამხანაგურ წარმოებაში ასეთ წყობილებას

ალაგი აღარ ექნება: წარმოების გაუმჯობესებული წესით ყველანი ისარგებლებენ; გაუმჯობესებული წარმოების ნაყოფს ყველა თანასწორად გაინაწილებს. მეტი სიმდიდრე და ნაკლები შრომა. მაგრამ შრომითი კი ყველამ უნდა იშრომოს; ზარმაცებს იქ ადგილი აღარ ექნებათ.

„მსხვილი მრეწველობის გასაძღოლად.“ ამბობს „დემოკრატიშე კორესპონდენც—ი“, „კაპიტალისტსა და მის კაპიტალს გარდა კიდევ სხვა რამეა საჭირო. დიდი უსამართლობაა, როცა რაღაც მოსაზრებით, ყველა კაპიტალისტს დიდ ბატონად თვლიან. ჩვენ დროში არავინ არ ჰკიდებს ხელს ფაბრიკანტობას თავის სურვილით, საკუთარი სიამოვნებისთვის; ამათ შესაფერი მომზადებაც აქვთ: მათთვის მგონი უცნობი არ არის საქმის არც ტეხნიკური და არც კომერციული მხარე. ხან უნდა იშრომონ კიდეც. მათი კლასი არ სარგებლობს რაიმე პოლიტიკური უპირატესობით“ და სხვა.

ყველა ამას „დემოკრატიშე კორესპონდენც-“ი სრულიად დამშვიდებული კილოთი მოგვითხრობს. „მსხვილ მრეწველობაში კაპიტალისტსა და კაპიტალს გარდა კიდევ სხვა რამეა საჭირო“-ო, არა პატივცემულო, მსხვილ მრეწველობაში მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალია საჭირო. ვისაც კაპიტალი აქვს, იმას მზამზარეულად მიერთმევა ყველაფერი: ტეხნიკური და კომერციული ხელმძღვანელობა, სამუშაო ძალა, მან-

ქანები, ნედლი მასალა,—ერთი სიტყვით კაპიტალით ის ყველაფერს ხელის გაუნძრევლად იძენს, მხოლოდ, თუ მოისურვებს, წლის ბოლოს დავთრებს გადაშინჯავს და მოსაგებს (მერე რამდენ მოსაგებს!) ჩაიჯიბავს.

რომ ყველა ფაბრიკანტი „დიდი ბატონი“ არ არის, ეს მეც კარგად ვიცი. ვიცი ისიც, რომ წვრილ ფაბრიკანტებს საქმეს უჭირვებს მსხვილების კონკურენცია და გაკოტრებას უქადის. თანამედროვე წარმოების წესთან მჭიდროთ შეკავშირებულია კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე, როგორც მრეწველობის განვითარების აუცილებელი თვისება. დღევანდელი წარმოება უგეგმოდ ხდება; არავინ წინ და წინ არ იცის, რამდენი რა სჭირდება საზოგადოებას. ზოგიერთ დარგში საჭიროზე მეტს ამზადებენ, რაც ნაწარმოებს ფასს უკარგავს, ბევრ ფაბრიკანტს აკოტრებს და წარმოების სხვა დარგებზედაც ცუდათ მოქმედობს. ასეთ კრიზისს მრავალი ნაწარმოების ფასის დაკარგვა და სამუშაო ძალის უსარგებლო გაფლანგვა მოსდევს.

მე იძულებული ვარ ერთხელ და სამუდამოდ გამოვაცხადო, რომ ჩვენი ბრძოლა საერთოდ კაპიტალისტთა კლასის და არა კერძო კაპიტალისტების წინააღმდეგაა მიმართული. ცალკე ფაბრიკანტი ისეთივე უძლურია დღევანდელ წყობილებაში, როგორც ცალკე მუშა. ის ან უნდა დაემორჩილოს მსოფლიო

ბაზრის კანონებს ან და გაკოტრდეს: ჩვენ ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, ვითომ კაპიტალისტის პიროვნებას მისი მუშებისათვის მნიშვნელობა არ ქონდეს. რამდენათ ის სარგებლობს თავისი ეკონომიური უპირატესობით, რომ უფრო შეაწუხოს და გაყვლიფოს მუშა, იმდენად ის ჩვენი პირდაპირი მტერია და ჩვენც სასტიკ წინააღმდეგობას გავუწევთ მას.

„ჩვენ დროში (წინედ?) არავინ არ ჰკიდებს ხელს ფაბრიკანტობას გასართობად, საკუთარი სიამოვნებისათვის-“ ო გვარწმუნებს „დემოკრატიშე კორესპონდენც-“ი. ნეტა ვინ უშლის ფაბრიკანტს დღიურ მუშად შესვლას? ალბად ძალიან სასიამოვნოა ფაბრიკანტობა, რომ ამდენი ხალხი ეტანება მას. კაპიტალისტები და ვაჭრები საშვალო რიცხვით მუშებზე მეტს ცოცხლობენ. სავსე, ჩასუქებული პირისახით და დამრგვალებული ტანით ისინი სრულიად არა გვანან გამხდარ და ღონე გამოლეულ მუშებს. მათი ხანგრძლივი სიცოცხლე და კარგი სმა-ჭამა ხომ უდარდელი და ტკბილი ცხოვრების მაჩვენებელია. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, ვითომც ფაბრიკანტის ხელობა რაიმე სიძნელეს წარმოადგენდეს. „დემოკრატიშე კორესპონდენც-“ი აქაც აშკარა შეცდომას უშვებს.

ისინი „მომზადებასაც შესაფერს იღებენ-“, განაგრძობს გაზეთი.

მართალია, მაგრამ ეს მომზადება ხშირად ძალიან უმნიშვნელოა და კაპიტალისტები ხშირად ჩამოუარდებიან თავის მუშებს, როგორც ტექნიკურ ისე საზოგადოებრივ განათლებით. ჩვენ სამრეწველო ქალაქებში ბევრია ასეთი „კაპიტალისტი“ ე. ი. გა უნათლებელი.

ზემოთ მე უკვე აღვნიშნე, თუ რა ცოტა ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ კაპიტალისტი გახდე. რომ ამისათვის მართლა ცოდნა იყოს საჭირო, მაშინ სურათი სულ სხვანაირად შეიცვლებოდა. მაშინ ბევრი კაპიტალისტი უბრალო მუშად გადაიქცეოდა და იმისი მუშები კაპიტალისტებად. უკეთილშობილესი და უდიდესი გენიოსები კაპიტალისტები უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ განა „დემოკრატიშე კორესპონდენც-“მა თვითონ არ იცის, რომ ეს ასე არ არის? დასამტკიცებლადთ მოვიყვანო თუნდ ჩვენი მეცნიერები, მწერლები, გამომგონლები. განსაკუთრებით უკანასნელნი ბევრს საინტერესოს გვეტყვიან ამის შესახებ.

„მათთვის მგონი უცნობი არ არის საქმის არც ტექნიკური და არც კომერციული მხარე,“ განაგრძობს „დემოკრატიშე კორესპონდენც-“ი. სიტყვაში „მგონი“ ყველაფერია მოთავსებული—კრიტიკა აქ მეტია. „ხან უნდა იშრომოს კიდეც.“ დიახ, შრომობენ და მერე როგორ? ყოველ გვარი კაფე—რესტორანები, აგარაკები და გასართობი ადგილები

საკმაოდ გვიმტკიცებენ ამას. „მათი კლასი არ საარგებლობს რაიმე პოლიტიკური უპირატესობით-“ ნუ თუ მართლა? ამას „დემოკრატიული გაზეთი“ ამბობს? ნუ თუ მან არ იცის, რომ პრუსიაში და ბადენში არსებობს არჩევნების სამკლასიანი სისტემა, საქსონიაში სავალდებულოა ცენზი, ბადენში არაპირდაპირი არჩევნების წესია შემოღებული, დეპუტატებს ჯამაგირი მოუსპეს და სხვა. ვის სასარგებლოთ ხდება ყველაფერი ეს? მუშის სასარგებლოთ ხომ არა? და სადაც ასეთი წესები არსებობს, განა კაპიტალისტი ვერ ახერხებს გაპატონებას? განა მუშა მისი მორჩილი არ არის? განა მის ხელში არ არის პრესა, რომლის შემწეობით ის ქმნის—დიახ ქმნის! საზოგადოებრივ შეხედულებას? ან უფაღლესი სასწავლებლები მათთვის არ არსებობს? გადასახადების, სამხედრო ბეგარის და სასამართლოს სისტემა განა კაპიტალისტებს არ უწყობს ხელს? ვინც ამას უარჰყოფს, ის პირდაპირ ბრმაა.

„დემოკრატიშე კორესპონდენც-“ი წარბ შეუხრელად ამახინჯებს სიმართლეს, ქვეშოდ, როცა ის კაპიტალისტების და სახელმწიფოს ურთერთ დამოკიდებულებას ეხება, საკუთარ წინააღმდეგობათა ქსელში იხლართება, რის დამტკიცებასაც ერთ შემთხვევაში ცდილობს, მეორე შემთხვევაში მას თვითონვე აბათილებს. სხვა რომ არა იყოს რა, თვითონ მეთანხმება იმაში, რომ კაპიტალიზმი პირველად სახელ-

ლმწიფოს დახმარებისა და მფარველობის მეოხებით აღორძინდება, მაგრამ შემდეგ, როცა ის საკუთარ ფეხზე დადგა და მფარველობას აღარ საჭიროებს, ის თვითონ გაბატონდა და სახელმწიფოს მეორე ხარისხოვანი ადგილი არგუნა.

კაპიტალის ზრდა რომ კაპიტალისტის პიროვნებაზე (ფიზიკური და სულიერი ძალები) არ არის დამოკიდებული, ამას ჩვენი აქციონერული საზოგადოებები გვიმტკიცებენ. საუკეთესო მაგალითს თვითონ „დემოკრატიშე კორესპონდენც“-ის სამშობლო იძლევა. ესლიგენში არსებობს მანქანების დიდი ფაბრიკა, რომელშიც მუდამ ათას ხუთასამდე კაცი მუშაობს. ეს ფაბრიკა წარმოადგენს აქციონერულ დაწესებულებას, ე. ი. შეერთებულია რამდენიმე კაპიტალისტი, რომელთაც საერთო თანხით შეუძენიათ ყველაფერი, რაც კი წარმოებისთვის საჭიროა: შენობა, იარაღები, სამუშაო ძალა, ტეხნიკური და კომერციული ხელმძღვანელობა. წლის ბოლოს ფაბრიკა ადგენს ბალანსს, რომელიც გვიჩვენებს შემდეგს: ნაყიდი სამუშაო ძალა ქმნის იმდენ ზედმეტ ღირებულებას, რომ ყველა ხარჯების დაფარვის შემდეგ, თვითეული აქციონერი ყოველ ას გულდენიან აქციაზე რვა გულდენ დივიდენდს (მოსაგების ნაწილი) ღებულობს. ამ ნაირად თორმეტ წელიწად—ნახევრის შემდეგ აქციონერის კაპიტალი ერთი ორად იზრდება, რაც აქციონერისგან არავი-

თარ შრომას არ ითხოვს, საჭიროა მხოლოდ დივიდენდის შენახვა; თუ გაჰყიდის, თითო აქციაში 100-ის მაგიერ 150 ან 160 გულდენს მისცემენ, ე. ი. 50, 60 გულდენს „განსაკუთრებულ ჯილდოს მოთმინებისთვის“. წარმოვიდგინოთ, რომ ყველა აქციონერები სულელებია, არც ერთს საქმის ტეხნიკური ან კომერციული მხარე არ გაეგება,— მაგრამ ეს მაინც ვერ იმოქმედებს მათი მოსაგების რაოდენობაზე. არც ერთი იმათგანი არ შრომობს. არც ერთი თავის ძვირფას ტვინს ერთ წუთსაც არ ამოძრავებს, მაგრამ მოსაგების რაოდენობა მაინც არ იცვლება! სამაგიეროდ ტეხნიკური და კომერციული ხელმძღვანელობა ნაყიდია, როგორც სამუშაო ძალა, მასში ბაზარზე არსებული ფასის კვალობაზეა მიცემული.

ამ მაგალითმა უნდა დაარწმუნოს „დემოკრატიშე კორესპონდენც“—ი, რომ ფაბრიკანტობა ძლიერ სასიამოვნოა და მუშათა კლასს სრული უფლება აქვს აღშფოთდეს, რადგან კაპიტალი სხვისი შრომით შექმნილი ღირებულების გროვაა და სხვა არაფერი.

აქვე უნდა შევნიშნო „დემოკრატიშე კორესპონდენც“—ის საყურადღებოდ, რომ ის ცუდად ხსნის ჩემ აზრს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაო ქირის მაგიერ მუშას მთელი შრომის ღირებულება უნდა მიეცეს. ის ერთმანეთში ურევს

შრომის ღირებულებას და წარმოებაში „მონაწილეობის მიღებას“. მაგრამ ეს ხომ ერთი არ არის! თუ მუშა მის მიერ შექმნილ ღირებულებას საესებით მიიღებს, მაშინ კერძო მწარმოებელს ალაგი აღარ ექნება: ყველას წილი უდევს საზოგადო მოსაგებში იმის და მიხედვით, თუ ვინ რამდენი სარგებლობა მოიტანა; „წარმოებაში მონაწილეობის მიღება“ კი იმას ნიშნავს, რომ წარმოების სათავეში კერძო მესაკუთრე სდგას, რომელიც მოსაგებს თავის ნებაზე ანაწილებს მუშათა შორის. ეს, როგორც სამართლიანად შენიშნავს „დემოკრატიშე კორეს-პონდენც“—ი „თავისუფალი ხელშეკრულება“ იქნება სახელმწოფოს ჩაურევლად და მე დარწმუნებული ვარ, რომ ბურჟუაზია დიდი სიამოვნებით დათანხმდება ამ „მონაწილეობის მიღებაზე“, მეტადრე, თუ მის მიერ ათვალწუნებული სახელმწიფო წარმოების მოწესრიგებას მოინდომებს: მაგრამ ასეთი ხელშეკრულობის მისაღებად ურთი ერთი თანხმობაა საჭირო. და მუშები სულელები იქნებიან, რომ სხვების ნასუფრალით დაკმაყოფილდენ, როცა ყველაფრის შეძენა შეიძლება; სულელები იქნებიან, როცა შეძლება აქვთ დამოუკიდებელი მწარმოებლები გახდენ, და მორჩილებას და თავის შრომის ღირებულების ნაწილის მიღებას დასთანხმდებიან. ასეთი „მონაწილეობის მიღებით“ ბურჟუაზია არაფერს არ აგებს. პირიქით ის იგებს კი-

დეც და, რადგანაც უფრო შორსმჭვრეტელებმა ეს უკვე შეიგნეს, ამიტომ კაპიტალიზმის ეხლანდელი ლოზუნგია „წარმოებაში მუშების მონაწილეობა“, „პარტნერსიპი“—ს სისტემა, როგორც ინგლისში უწოდებენ.

ჩავუკვირდეთ უფრო კარგათ საქმის ვითარებას.

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ფაბრიკანტი უთმობს მუშებს წმინდა მოსაგებიდან 25 პროცენტს—უნაწილებს იმის მიხედვით, ვის რამდენი ქირა აქვს. 50 მუშის ქირა, ვთქვათ, წელიწადში 10 ათას ტალერს აღემატება და წმინდა მოსაგებიც ამდენია. რადგანაც ფაბრიკანტი წმინდა მოსაგების მეოთხედს აძლევს მუშებს, აქედან ორი ათას ხუთასი ტალერი შეხვდება; მუშა, რომლის ქირა დაახლოვებით 200 ტალერს უდრის, ორმოცდა ათ ტალერს მოსაგებიდან მიიღებს,—სულ ორას ორმოცდა ათ ტალერს. ფაბრიკანტის მოსაგებს ორი ათას ხუთასი ტალერი დააკლდება, თვითეულ მუშას კი ორმოცდა ათი ტალერი შეემატება. თავისთავად ეს, რასაკვირველია, კარგია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამას სხვა შედეგი მოსდევს. მუშები, რომელთაც მოსაგების 25 პროცენტი ეძლევა, ცდილობენ ეს მოსაგები კიდევ უფრო გაადიდონ, და ამისათვის მეტს მუშაობენ. ისინი რწმუნდებიან, რომ მასალის გაფუჭება, განათების, ზეთის და სხვ. უსარგებლოთ დახარჯვა მათთვისაც საზარალოა. ეს კიდევ ცოტაა. მუშები

რაკი მოსაგების იმედი აქვთ,საქმეს მეტი ხალისით ეკიდებიან, ძალდატანება საჭირო აღარ არის და ეს შეძლებას აძლევს ხაზეინს მეთვალყურეობა რიცხვი შეამციროს. ეს კი აუცილებელი ხარჯების რამდენიმე ასი ტალერით შემოკლებას ნიშნავს. ამის გამო შემდეგი წლის მოსაგები 10 ათასიდან 15 ათასამდის ავა. ამ ჯამიდან მუშები მეოთხედს, ე. ი. 3750 ტალერს მიიღებენ,—თითოს 50-ის ნაცვლად 60 ნახევარი შეხვდება,—ის ხაზეინისადმი მეტს ერთგულებას იჩენდა, მასალას უსარგებლოდ არ ხარჯავდა და სხვა, ფაბრიკანტს კი წინანდელი 10 ათასის ნაცვლად 11 ათას ორას ორმოცდა ათი ტალერი შეხვდება, ე. ი. ათას ორას ორმოცდა ათი ტალერით მეტი. ეს ამოდენა ფული ისე ჩაიჩხრიალა, რომ თითიც არ გაუნძრევია, არც ერთი თავის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი არ დაუტოვებია. მაშ ვის უთბობს ხელს ეს „პარტნერსიპ"—ის სისტემა? ცხადია ფაბრიკანტს. პირიქით, ეს სისტემა ვერ არღვევს სამუშაო ქირის კანონს, ეს უკანასკნელი თან და თან ეცემა, მუშა ისევ ძველ მდგომარეობაში ვარდება, კაპიტალისტის სიმდიდრე კი თან და თან მატულობს. მალე მთელი ქვეყანა დაინახავს იმას, რასაც დღეს მხოლოდ ზოგიერთები ხედავენ, რომეს სისტემა მხოლოდ თვალთმაქცობაა და მის შემწეობით კლასობრივი წინააღმდეგობის მოსპობა შეუძლებელია. შორს ჩვენგან ასეთი სისტემა! ჩვენი

ლოზუნგი ისევ სრული ღირებულების მიღება დარ-
ჩება, ჩვენი ბრძოლის მიზანი ამხანაგური წარმოების
მოწყობაა.

„დემოკრატიშე კორესპონდენც-„ს ძლიერ აფიქ-
რებს მოსაგების განაწილება. ის ისეთ საგონებელ-
შია ჩავარდნილი, თითქოს ბალღებთან ქონდეს საქმე,
და თუ რაიმე „უმაღლესი ძალა,“—თუნდ კაპიტა-
ლისტის სახით—არ მოგვეშველა, ჩვენი დაღუპვა აუ-
ცილებელი იყოს. შემიძლია დავარწმუნო „პოლი-
ტიშე კორესპონდენც-ი„, რომ „განაწილება“ არც ისე
გვაინტერესებს, ოღონდ გასანაწილებელი კი ვიშო-
ვნოთ რამე. ვინც მეტს იშრომებს, მეტ სასყიდელს
მიიღებს, მაგრამ ეს შრომის ფასი არ ექნება. ვინც
მეტს აიღებს ის მეტსაც დახარჯავს, მაგრამ ფუფუ-
ნებას ალაგი აღარ ექნება, როგორც არ ექნება ალა-
გი სიღატაკეს და შიმშილს. მოგროვების ნებაც ყვე-
ლას ექნება, ვისაც რამდენი სურს; მაგრამ კაპიტა-
ლის შეძენა შეუძლებელი იქნება; კაპიტალი ველა-
რავის გაყვლეფს, პირადი შრომის დაუხარჯავათ მას
ვერავინ გაადიდებს. აგრეთვე ახირებულ კითხვებს
იძლევა „დემოკრატიშე კორესპონდენც“—ი ამხანა-
გობათა ორგანიზაციის შესახებ. ის, რომელიც სა-
ზოგადოთ მიწასთან ასწორებს „ყველა. იმას, ვისაც
ხალხის დამოუკიდებლად მოქედება არა სწამს, ამ
შემთხვევაში თითქმის მთელ ხალხს მცირე წლოვან
ბავშვებათ თვლის, რომელსაც ამხანაგობის დაარსე-

ბისა და ხელმძღვანელობის არა გაეგება რა. სულ უბრალო მწარმოებელთა ამხანაგობანი, რომელნიც დღევანდელ პირობებში არსებობენ, რომელიმე მომხმარებელი ან ნდობის საზოგადოებაც კი ნათლათ ამტკიცებენ, რომ მუშებს ორგანიზაციის მოწყობა შეუძლიათ. ისინი გაცილებით მეტ უნარს გამოიჩენენ იმ წესწყობილების დროს, რომლის ერთი უმთავრეს მიზანთაგანი სახალხო განათლების კარგათ მოწყობა იქნება.

რადგანაც ამხანაგური წარმოება სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ მოვალეობათ გადაიქცევა. როგორც ამას „დემოკრატიშე კორესპონდენც“—ი ამბობს, ამიტომ ის (გაზეთი) დაგვეთანხმოს, რომ „ვაჭრული ნიჭით“ დაჯილდოვებულნიც ძალა—უნებურად მას მიემხრობიან, თუ არ სურთ, რომ სიმშილით მოკვდენ. მე ვფიქრობ, რომ ამ ნაირათ „ინტელიგენტთა “საკმაო რიცხვს მივიღებთ, თუმცა ეს კითხვა მაშინ უფრო ადვილათ გადაწყდება, როცა ახალი წესწყობილება დამყარდება.

მას შემდეგ, როცა უკვე დავამტკიცე, რომ ერთად—ერთი ჩვენი მიზანი ამხანაგური წარმოებაა, თავის თავათ ქრება „დემოკრატიშე კორესპონდენც-„ის კითხვა იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშებმა, იმ ზარალში, რომელიც კაპიტალისტს მოულოდნელ შემთხვევების გამო მოუვა. გაზეთს ალბათ დღევანდელი მუშის და ხაზეინის ურთი ერ-

თობა აქვს სახეში, მაგრამ ამას ხომ ადგილი აღარ ექნება მომავალ წყობილებაში.

უცაბედად გაბედნიერება ან გაღატაკება მომავალ წყობილებაში მოისპობა, რადგან ასეთი უსამართლობა მხოლოდ იქ ხდება, სადაც წარმოება მოუწყობელია, და გამარჯვებულიც ის გამოდის, ვინც სხვების მოტყუებაში დახელოვნებულია. სტატისტიკური ცნობების შემწეობით შესაძლებელი იქნება წარმოების განსაზღვრულ გეგმაზე მოწყობა. და ამ გვარად მოისპობა საჭიროზე მეტი ნაწარმოების მომზადება, რაც ჩვენ დროში ვაჭრობის შეფერხებას იწვევს. ეს გაადვილდება იმით, რომ აღარ დაამზადებენ ისეთ ნივთებს, რომელიც უმკირესობისთვისაა დანიშნული და მთელ შრომას მოანდომებენ იმას, რაც ყველასათვის სასარგებლოა. წარმოების მოწესრიგება მით უფრო ადვილი იქნება, რადგან მის განხორციელებას ყველა ქვეყნებში ერთ და იმავ დროს შეუდგებიან; რომელიმე საერთაშორისო საბჭო განიხილავს სხვა და სხვა ქვეყნებიდან მიღებულ ცნობებს; ასეთი საბჭოს შენახვა მაინც და მაინც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს.

როგორ ძლიერ გრძნობენ მუშები ასეთი ორგანიზაციის საჭიროებას, ამას ამტკიცებს „მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის“ არსებობა, რომელიც საბრძოლველადაა დაარსებული, მაგრამ მშვიდობიანობის საქმეს კი ემსახურება. «დემოკრატაშე კორეს-

პონდენც“-ს სურს. აგრეთვე გაიგოს, როგორ იქნება განაწილებული სახელმწიფოს საშუალებანი. რაც შეეხება საომარ საგნების განაწილებას, ეს ხალხზე იქნება დამოკიდებული, ხალხი თვითონ გადასწყვეტს ამ კითხვას. წარმოების საშუალებათა სხვა და სხვა დარგში დანაწილება არ დასრულედება მანამდის, სანამ იქნებიან უსაქმოდ დარჩენილები. უკვე დაარსებული ორგანიზაცია თან და თან შეივსება მოზარდი თაობით. რა საზოგადოებაში უნდა დაკმაყოფილდეს ახალი მოთხოვნილება ამას ხალხის უმრავლესობა გადასწყვეტს *). ასეთი პირობებბი საჭირო ქვეყნის დემოკრატიული წყობილებისთვის.

*) შრომის ორგანიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ექმება კომუნის დაარსებას. მწარმოებელთა საზოგადოებასთან ერთად რომ მომხმარებელიც უნდა დაარსდეს, ეს თავისთავად ცხადია. თანამედროვე წყობილებამ წარმოშობა მთელი კლასი, რომელიც წარმოების გასაღებით ცხოვრობს. ამ კლასს ეკუთვნიან აგენტები, მაკლერები. მედუქნეები, ერთი სიტყვით ყოველგვარი შუაკაცები, რომელნიც არსებობენ იმით, რომ საქონლის ღირებულების ფასს თავის შრომის ქირას უმატებენ, რასაც, რასაკვირველია, მომხმარებელი იხდის. სოციალისტური წყობილების დროს ეს კლასი მოისპობა. ჩვენი დუქნების და მაღაზიების ადგილს დიდრონი საწყობები და ბაზრები დაიკერენ. ასეთი კონცენტრაცია თვალსაჩინოდ შეამოკლებს სამუშაო დროს და ხარჯებს. ხსენებული კლასი მონაწილეობას მიიღებს წარმოებაში, რაც საშუალებას მისცემს მას იცხოვროს საკუთარი ნაწყვეტებით და არა სხვისის გასაღებით.

ხშირად გვეუბნებიან, რა უნდა ქნან მომავალ ამ-ხანაგურ წყობილებაში ექიმებმა, მეცნიერებმა და სხვ., რომელნიც წარმოებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ამაზე მე ვუპასუხებ, რომ რადგანაც ესენი საზოგადოებას ემსახურებიან, ეს უკანასკნელიც ვალდებული იქნება მათი შენახვა იკისროს. პირიქით ის პირები, რომელთაც არავითარი საარგებლობა არ მოაქვთ, მაგრამ მაინც საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობას მოინდომებენ (როგორც ეს ჩვენ დროში ხდება) მავნე და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლებად ჩაითვლებიან.

კაპიტალისტური წარმოების ნაცვლად ამხანაგურის შემოღება თავდაპირველად გავლენას იქონიებს წარმოების იმ დარგზე, რომელიც ყველაზე უფრო ცუდ პირობებში იმყოფება. ორგანიზაციის ტეხნიკურ მხარეს ხელს შეუწყობენ აწ არსებულნი სამრეწველო დაწესებულებანი. ბიუროკრატიული მექანიზმი, რომლის მოვალეობა ხალხის დახმარება იქნება, უბრალოდ მოეწყობა; ის არ ეგვანება დღევანდელს, რომლის მიზანი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაქრობაა; მისი შენახვაც გაცილებით უფრო ადვილი იქნება, რადგანაც საზოგადო კეთილდღეობა იმატებს.

ამიტომ „დემოკრატიშე კორესპონდენც“—ი უნდა დაგვეთანხმოს, რომ საზოვადოებრივი წყობილების გარდასაქმნელად საჭიროა მხოლოდ ხალ-

ხის სურვილი, სხვა ყველაფერი თავის თავად მოვა. არ უარვყოფ, რომ შესაძლებელია შეცდომები, მაგრამ შეცდომა ვის არ მოსდის? ნება მაქვს ვიფიქრო, რომ ჩვენ დროში ეს იშვიათ მოვლენას არ შეადგენს. არ ვამტკიცებ, ვითომ ჩვენ პლანზე უკეთესის მოძებნა არ შეიძლება. თუ ეგულება ვისმეს, რას გვიმალავს, მაგრამ სანამ უკეთესი არავის წარმოუდგენია, ჩვენ საუკეთესოდ ისევ ჩვენი პლანი მიგვაჩნია. ამას დანაშაულად ვერავინ ჩამოგვართმევს. ჩვენი ფიქრით, კარგია ჩვენი პლანი, ის ჩვენ ნებაზე არ შეგვიდგენია; როგორც თანამედროვე წყობილების შესწავლის ნაყოფი, ის სრულიად რეალურ ნიადაგზეა აშენებული.

„დემოკრატიშე კორესპონდენც-ს“, რომელმაც სამი ვებერთელა სტატია დახარჯა ჩვენი პლანის უვარგისობის დასამტკიცებლად, საშუალება ქონდა თავისი აზრი გამოეთქვა, მაგრამ ის, რაც მან ამ შემთხვევაში გააკეთა, ისე უმნიშვნელოა, რომ ძალაუნებურათ მაგონებს თქმულებას მის შესახებ, რომელმაც თურმე თაგვი დაბადა.

ეს გაზეთი ითხოვს სახელმწიფო დახმარებას „ახალ-გვარ მოსამზადებელ და სპეციალურ განათლებისათვის“.—ჩქარობს ის ფრთები შეაკვეცოს თავის მოთხოვნილებას არსებულ კაპიტალისტურ პირობებში; ახლა დავკმაყოფილდები მხოლოდ ერთი კითხვით, რომლითაც პირდაპირ გაზეთს მივმარ-

თავ: წარმოვიდგინოთ, რომ იბადება ორი ბავშვი; ერთი უკვე აკვანშია უზრუნველყოფილი მამის მიერ ნაანდერძევი 25 ათასი ტალერით, მეორეს კი არა გააჩნია რა. პირველი სულელი და უნიჭო კაცი გამოდგა, თუმცა მის აღზრდაზე ბევრი შრომა დახარჯეს, მეორე პირიქით ნიჭიერი და ჭკვიანი. როგორ ჰგონია „დემოკრატიშე კორესპონდენც“—ს, რომელი იმათგანი უფრო ადვილათ შეიძენს ასი-ათასის შეძლებას? ვთხოვ ამაზე პირდაპირ მიპასუხოს.

„დემოკრატიშე კორესპონდენც“—მა, თავის სტატიების წინასიტყვაობაში პირდაპირ გან ცხადა, რომ ის სრულიად უცნობ საგანზე აპირებს წერას და შემდეგ ისეთი რიხით შეუდგა ჩვენი პლანის კრიტიკას, რომ გეგონებოდათ მანჩესტერული პარტიის წევრი ან თვით შულცე-დელიჩიაო. „შტუტგახტერ ბეობახტერმა“ (ვისტემბერგის სახალხო პარტიის ორგანოა) ეს სტატიები პირველ ფურცლებზე მოათავსა, რითაც თავის მხრით სრული თანხმობა გამოაცხადა. ამ გაზეთის მტრებმა მათ სოციალისტური და, სასაცილოა ამის თქმა, კომინისტური იდეების მომხრეობა დასწამეს. მოწინააღმდეგენი უნდა გამოტყდენ, რომ სასტიკი შეცდომა მოუვიდათ. ყველა ნაციონალურ-ლიბერალურ გაზეთს თამამად შეუძლია თავის ფურცლებზე მოათავსოს ის რაც „დემოკრატიშე კორესპონდენც“—მა დასწერა და „შტუტგახტერ ბეობახტერმა“ გადაბეჭდა.“

აქ ვაპირებდი ჩემ მოწინააღმდეგეებთან საუბრის შეწყვეტას, მაგრამ მოვალედ ვთვლი ჩემ თავს პასუხი გავცე „დემოკრატიშე კორესპონდენც“—ს იმის შესახებ, თუ როგორ ვუყურებთ ჩვენ აგრარულ კითხვას, სოფლის პროლეტარიატის მდგომარეობას.

სოფლის პროლეტარიატის არსებობას „დემოკრატიშე კორესპონდენც“—ი არ უარყოფს. მის მდგომარეობას, რომელიც ხშირად ქალაქის პროლეტარიატზე უფრო აუტანელია, ეს გაზეთი კარგად იცნობს და მეტადრე კარგად ახასიათებს, ამიტომ მე პირდაპირ მისი სიტყვებით ვილაპარაკებ. აი მისი სიტყვები:

«სოფლის მუშების მდგომარეობას, რამდენათაც ჩვენ გაზეთებიდან და კონგრესების ანგარიშიდან ვტყობილობთ, უყურადღებოდ სტოვებენ. მიუხედავად ამისა მათთვის დამოუკიდებლობის მოთხოვნა ისევე კანონიერია, როგორც ქალაქის მუშებისათვის; მათ სრული უფლება აქვთ მოითხოვონ აგრეთვე სახელმწიფო დახმარება, მით უმეტეს რომ ისინიც თავის წვლილს შეიტანენ ამ საქმეში; დიდი უსამართლობა იქნებოდა ამით მარტო მათ ესარგებლნათ, ვისაც დღეს მუშებს ეძახიან. თუ ვალდებულია სახელმწიფო ქალაქში მონობის (ეს ჩვენი სიტყვები როდია!) მოსპობაზე იზრუნოს, ის ვალდებულია აგრეთვე სოფელშიც გაანთავისუფლოს ყმები. ამ სახელს ვუწოდებ მე მოჯამაგირეს, დღიურ მუშას და სხვებს,

რომელთაც მდიდარი გლეხი იმავ შევიწროებას აყენებს, რასაც ქალაქის მუშას—ფაბრიკანტი, მაგრამ პირველის მდგომარეობას კიდევ უფრო აძნელებს ის გარემოება, რომ სოფლის მუშა, თუ ის სოფელს სამუდამოთ არ მიატოვებს, მუდამ ერთ და იმავე მდიდრის ხელში რჩება, მაშინ როდესაც ქალაქში ფაბრიკანტები ხშირად იცვლებიან.

„მხოლოდ უვიცობას შეუძლია უარყოს სოფლის პროლეტარიატის და მისი საკითხის არსებობა. ეჭვი არ არის, როცა კანონმდებლობა ოფიციალურად შეუდგება მუშათა კითხვის გადაწყვეტას, მაშინ გლეხობაც თავს წამოყობს და არც ისე მშვიდობიანად. სრულიად არ უნდა გვიკვირდეს, რომ ეს კითხვა აქამდი არავის წამოუყენებია: სოციალური კითხვის გადაწყვეტას წინედ მხოლოდ მეცნიერები კისრულობდენ ისინი კი სოფლის ცხოვრებას არ იცნობდენ. სოციალურმა კითხვამ გაიტაცა ქალაქის მუშები, უფრო დამოკიდებულნი და შეგნებულნი, რაც ქალაქში ერთად ცხოვრების შედეგია. მუშათა მოძრაობის სათავეში დგანან წრეების ხელმძღვანელნი, რომელნიც ცდილობენ ინტერესთა სოლიდარობის განმტკიცებას და უახლოეს საჭიროებათათვის ბრძოლა მათ იმდენ დროს ართმევს, რომ მოცალება არა აქვთ იმათზე იზრუნონ, ვის მდგომარეობასაც არ იცნობენ და ვისაც განმარტოებული ცხოვრების მიზეზით კავშირებისშედგენა არ შეუძლიან. ჩვენ

მაინც ვიმეორებთ სახელმწიფო დახმარების საკითხი სოფლის მუშებსაც ეხება და ვისაც პირველის გადაწყვეტა სურს, მეორესაც ყურადღება უნდა მიაქციოს.“

პირველი აზრი პირდაპირ შეუწყნარებელია: სოფლის პროლეტარიატის შესახებ საკითხი ბაზელის კონგრესზე აღიარა და ძალიან სერიოზულადაც იქნა განხილული. ჩვენ კიდევ შევჩერდებით ამ კითხვაზე.

„დემოკრატიზე კორესპონდენც—“ი სოფლის პროლეტარიატსაც ისე ვიწროთ უყურებს, როგორც ქალაქისას. წვრილ ხელოსანს, რომელიც ხშირათ სულს ძლივს იბრუნებს, ის „ხაზეინათ,“ „დამოუკიდებელ კაცათ“ თვლის, რომელსაც საბუთი აქვს უკმაყოფილო იყოს, სოფლის პროლეტარიატს, მისი ფიქრით, მარტო მოჯამაგირეები და დღიური მუშები შეადგენენ.

ისეთი ღარიბი გლეხები, რომელნიც სამხრეთ და შუა გერმანიაში ცხოვრობენ, ამ გაზეთის აზრით პროლეტარები არ არიან. თუმცა ისინი უფრო ცუდ პირობებში იმყოფებიან. ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები. ქალაქში წვრილ ხელოსანს სჩაგრავს მსხვილი ხაზეინი. სოფელში კი მსხვილი მემამულე ავიწროვებს წვრილს; ბოლოს უკანასკნელი ჰყიდის თავის პატრა ნაჭერს და მდიდარ მემამულეს უდგება მოჯამაგირედ ან დღიურ მ-ეშად შედის‘ რაც მისთვის სოცალური კიბის უკანასკნელ საფეხურამდე ჩამოქვეითებას ნიშნავს.

როგორ ხდება ეს? ჩვენში (გერმანიაში) მიწის დანაწილება კანონით არ არის შეზღუდული, როგორც ეს ინგლისშია. თითქმის ყველგან მოისპო შეიწროება მიწის დანაწილების და მემკვიდროებით გადასვლის შესახებ. საკსონიაში, სადაც ასეთ ზომებს ჯერ კიდევ აქვთ ალაგი, მეორე კამერა ეცადა მათ მოსპობას. ასეთი წესების შედეგია მიწის პატარა ნაკრებათ დანაწილება. ყველას სურს შეიძინოს პატარა საკუთრება, რომ უსაჭიროესი მოთხოვნილებანი მაინც დაიკმაყოფილოს, მაგრამ ამასაც საზღვარი აქვს. თუ კერძო საკუთრება თან და თან დაპატარავდა, ის აღარ იკმარებს პატრონის დასაკმაყოფილებლათ; ეს უკანასკნელი კი ცდილობს მისთვის საჭირო ნაწარმოების გარდა ცოტა მეტიც მოიყვანოს, რომ შეეძლოს მისი გაყიდვა და აღებული ფულით პროცენტების და გადასახადების გასწორება საჭირო ტანისამოსის ყიდვა და სხვა, რადგან კარგი მოსავლის ერთ ერთი პირობა მიწის პატივებაა, ამიტომ იმისთვის მას პატივიც უნდა ქონდეს. შინაური პიროუტყვის მოსაშენებლათ მისი ბინა არ კმარა; პატივის ყიდვა მას არ შეუძლია ფულის უქონლობის გამო. ამის შედეგი, რასაკვირველია, ცუდი მოსავალი იქნება. საბრალო გლეხი სასოწარკვეთილებას ებძლევა, მან არ იცის რა ქნას. სწორედ ამ ჟროს ევლინება მას მფარველი ანგელოზი ხაზეინის სახით; ის ხედავს, როგორ გაჭირვებაშია საწყალი მიწის

პატრონი, ატყობს, რომ მიწა ძლიერ ცოტა დროს ართმევს მას და „ვაჭრული გამჭრიახობის“ წყალობით რწმუნდება, რომ გლეხის თავისუფალი დროს ყიდვა თითქმის მუქთად შეიძლება

ხაზეინი რომელიმე მანუფაქტურას აღებს (საართავს, ჩულქების საქსოვს და სხვა). ღარიბი ხალხი სამუშაოს ხარბად ეტანება: მას იმედი აქვს, რომ ფაბრიკაში ნაშოვნი ფული მისი მიწის შემოსავალთან ერთად როგორმე ცხოვრების წყაროს მისცემს. ქირაობენ მას ძრიელ იაფად, მაგრამ შემდეგ ეს მცირე ხელფასიც ეცემა, რადგან მატულობს მუშათა რიცხვი და მათ შორის კონკურენცია მწვავდება, თან ხაზეინიც აცხადებს, რომ ბაზარზე საქონლის ფასი დაეცა და მას წინანდელი ქირის გაღება აღარ შეუძლია, საბრალო გლეხი ხედავს, რომ ხსნა ბევრ მუშაობაშია; მაგრამ ბევრი მუშაობა მას ბევრს დროს ართმევს ასე რომ ის იძულებულია თავისი ნაჭერი მიწა თითქმის მუქთად გაჰყიდოს. მერე ვინ იქნება მყიდველი? რასაკვირველია მდიდარი მემულე, კაპიტალისტი. ის ხედავს, რომ თუმც წვრილი მესაკუთრენი თავის საკუთრებას ჰყიდიან და ფაბრიკის მუშებად ხდებიან, მაგრამ მათაც ცხოვრება უნდათ; ეს ყოფილი მესაკუთრენი მისთვის საუკეთესო კლიენტებია. მიწები თან და თან მის ხელში გადადის; რამდენ ახალ ნაჭერს იძენს ის, იმდენი დამოუკიდებელი მემამულე ხდება, კონკურენტების რიცხვი

კლებულობს. როცა მის ხელში საკმაოდ დიდი ნაჭერი მიწა გადავა, ის დარწმუნდება, რომ ხელით მუშაობა ძვირად დაუჯდება და მანქანების შემოღებას მიჰყოფს ხელს. ამნაირად მიწის მუშობა მის ხელში მსხვილ სახეს ღებულობს და წვრილ მამულთან შედარებით, გაკილებით მეტ შემოსავალს იძლევა. მიუხედავათ ამისა კაპიტალისტი მაინც უარს არ იტყვის მიწის გაყიდვაზე. მეტადრე თუ კარგ ფასს მისცემენ. ის გლეხები, რომელთაც მან ხელიდან გამოაცალა მიწა, ახლა იძულებულნი ხდებიან მისგან პური იყიდონ, მაგრამ უფრო ფართო ბაზარი საშუალებას მისცემს მას ფასები უფრო ასწიოს. თუ ახლო-მახლო რკინის გზა გადის, მაშინ იმის საქმე გაჩარხულია: თავის მიწის ნაწარმოებს ის გზავნის უმახლობელეს ქალაქში, სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებში, ან პირდაპირ საზღვარ გარედ. ადგილობრივ მცხოვრებლებისთვის ეს, რასაკვირველია, ცხოვრების გაძვირებას ნიშნავს. მაგრამ თუ კაპიტალისტებისა და მისი დამქაშების სავალალოდ რკინის გზა არ არის გაყვანილი, რომ ნაწარმოების ადვილად გადატანა და ფასების აწევა შეიძლებოდეს და თუ ასეთი გზის გაყვანის მსურველიც არავინ არის, მაშინ კაპიტალისტები და ძმანი მათნი მთავრობას მიმართავენ ხოლმე. ცამდი აჰყავთ დასახელებული ადგილის მნიშვნელობა ვაჭრობისა და მრეწველობისათვის; იხსენიებენ იმასაც, თუ სად

და სად არის რკინის გზა გაყვანილი ხაზინის ხარჯით. მართალია ასეთ გზას საზოგადოებისათვის სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ თუ სხვები კი სარგებლობენ ხაზინის ფულით, რატომ მათაც არ უნდა ისარგებლონ. მინისტრმა კარგად იცის, რომ რკინის გზის გაყვანა მისგან არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს, პირიქით მთავრობისთვის ე. ი. მისთვის ძლიერ საჭიროა ამ კუთხის წარმომადგენელის გული მოიგოს და პარლამენტში ახალი მომხრე გაიჩინოს. დაფაცურდა მინისტრი, ხელად პროექტი შეადგინა და პარლამენტს მიართვა დასამტკიცებლად. დამოუკიდებელი ქალაქების და სამრეწველო ცენტრების ზოგიერთი დეპუტატები უარს აცხადებენ; მაგრამ პარლამენტში ბევრი პირია ისეთი, რომელიც ოდესმე მინისტრის წყალობით გამდიდრებულა და ახლა მოვალედ თვლის თავს მას სამაგიერო გადაუხადოს, არიან ისეთებიც, რომელნიც მომავალში მოელიან წყალობას და ამიტომ წინ და წინ ცდილობენ მადლობის გადახდას. მათ ემხრობიან ბიუროკრატები და მსხვილი ფაბრიკანტები და ამ ნაირად საჭირო უმრავლესობაც დგება. რკინის გზა გაჰყავთ და ჩვენ მემამულესაც ახალი ხანა უდგება. აქამდის მას მარტო პური და ბოსტნეულობა მოყავდა; ახლა მისთვის უფრო სასარგებლოა მიწის ერთი ნაწილის საბალახოდ გადაქცევა და შინაური პირუტყვის მოშენება.

ის ამჩნევს, რომ შინაური პირუტყვის მოშენებას

ცოტა შრომა და ხარჯი უნდება, სარგებლობა კი დიდი მოაქვს.

მართალია შინაური პირუტყვის მოშენებას ის წინეთაც მიზდევდა, გზის უქონლობის გამო გარეშე ბაზარი მისთვის მიუწდომელი იყო და შინ კი ბევრს ვერც გაჰყიდდა, რადგან გლეხები ხორცს არ ხმარობენ, ე. ი. უფულობის გამო მისი ყიდვა არ შეუძლიათ; ამიტომ შინაური საქონელიც მას იმდენი ყავდა, რამდენიც მიწის მოსანოყიერებელ პატივს მისცემდა. ახლა სულ სხვაა. რკინის გზა შეძლებას აძლევს მას შინაური პირუტყვი კარგ ფასში გაყიდოს, ამიტომ უმთავრეს ყურადღებას ის პირუტყვს აქცევს. ის აშენებს ღორებს, ცხვრებს და რქიან საქონელს: ხორცს გარდა კარგ ფასებში იყიდება აგრეთვე მატყლი, ჯაგარი და ტყავი. სიმდიდრის ზრდასთან ერთად ჩვენ მემამულეს კიდევ უფრო უძლიერდება გამდიდრების სურვილი.

წვრილი მემამულენი თან და თან ქრებიან, მათ ადგილს იჭერენ ისინი, ვინც წინედ საშუალო შეძლების პატრონად ითვლებოდა. ამათ თუმცა მეტი მიწა აქვთ, მაგრამ გაუმჯობესებული ტეხნიკა მათთვის მიუწდომელია და ამიტომ მათი შემოსავალი უმნიშვნელოა. ისეთი მანქანის შემოღება, რომელიც მდიდარ მეზობელს აქვს მისთვის შეუძლებელია ჯერ ერთი საჭირო ფული არ არის და მეორეც ის, რომ ღვთ პატარა ნაჭრებზე მანქანის ხმარება მოუხერხე-

ბელია. სხვა რაღა დარჩენიათ ისევ მიწის განოყიერების ახალ სისტემას უნდა მიმართონ, მაგრამ აქაც ფულია საჭირო და რადგან მათ ფული არა აქვთ, ყელამდინ ვალში იფლობიან. ძაგრამ ფული ძვირად ღირს, რადგან მრეწველობის გაფართოვება თან და თან ახალ თანხებს თხოულობს, აქციონერული საზოგადოებანი პროცენტს გარდა დიდ მოსაგებს აძლევენ კაპიტალისტს, და სახელმწიფოც ხალხისთვის აუტანელ პირობებით იძლევა ფულს. გლეხი იძულებულია დიდი პროცენტები იხადოს, გაცილებით მეტი, ვინემ თავის მამულიდან იგებს; ის წელზე ფეხს იდგამს, რომ ვალის, გადახდა მოახერხოს, თუ მისი მიწა ისე დიდია, რომ საკუთარი შრომით ვერ მოერევა, მაშინ მუშა უნდა დაიქირაოს, რაც ერთობ ძვირათ დაუჯდება. რაც იაფი უნდა იყოს სამუშაო ძალა, მისთვის, ღარიბი სოფლელისთვის, ის მაინც ძვირია; მას საქმეს უჭირვებს სოფელში გაბატონებული ჩვეულება, რომლის ძალით ის იძულებულია მუშებს სადილ—ვახშამი აძლიოს; ის, რაც აქ უნდა დახარჯოს, შეეძლო ფულად ექცია.

აი ამ ნაირად ვარდება გაჭირვებაში ჩვენი გლეხი, რომელიც წინედ გვარიანად ცხოვრობდა, მოუსავლიანი წელიწადი მას საბოლოოდ ანადგურებს, თუ თვითონ არ გაყიდის თავის მიწას, სულ ერთია საჯარო ვაჭრობით გაუყიდიან. ხარბი მეზობლისთვის ეს საუკეთესო შემთხვევაა თავისი მადის დრო-

ებით დასაკმაყოფილებლად, სანამ ახალ მსხვერპლს ჩაიგდებს ხელში. სოფლებიდან ჩამოსულების უმრავლესობა ამ ჯგუფს ეკუთვნის. ისინი ხედვენ, რომ ადრე თუ გვიან, მაინც გაკოტრდებიან, ამიტომ ყიდიან თავის მამულს, ასწორებენ ანგარიშს და ახალი სამშობლოსკენ მიეშურებიან, ე. ი. ცეცხლიდგან პირდაპირ წყალში ვარდებიან.

თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენი ქვეყნის კანონებს, დიდ გადასახადებს, სამხედრო სისტემას და სხვ. დიდი, ძლიერ ცუდი გავლენა აქვს ჩვენი გლეხის მდგომარეობაზედ.

როცა ასეთი პატარა მამული ანდერძის ძალით კიდევ უფრო პატარა ნაჭრებად დანაწილდება, მაშინ მისი არსებობის დღენი უკვე დათვლილია. მაგრამ ხელის შემშლელ კანონებსაც არაფერი შეუძლიათ: თუ დანაწილება აკრძალული იქნება, იმ შემთხვევაში სხვა მემკვიდრეების წილი ერთმა უნდა შეისყიდოს. ეს კი ავადიანებს მას და მალე ბოლოს უღებს.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხებიც იმ მიზეზით კოტრდებიან, რა მიზეზითაც ქალაქის ღარიბი მცხოვრებლები.

მაშ დაიღუპოს გლეხი? ისიც ხომ ისეთი ადამიანია, როგორც სხვები, მასაც ხომ აქვს ცხოვრების უფლება, როგორც სხვა ბრწყინვალე პირებს; მასაც ხომ აქვს უფლება მოითხოვოს იმ დაბრკოლების მოშორება, რომელიც მას არ შეუქმნია, მაგრამ

ცხოვრებას კი უშლის; მასაც ხომ აქვს უფლება ისეთი წყობილების შემოღება მოითხოვოს, რომელიც ყოველ ადამიანს ადამიანურ ცხოვრებას მიანიჭებს, ე. ი. ნებას მისცემს ამ ქვეყნიური სიმდიდრით ისარგებლოს, სიმდიდრე კი დღესაც ყველასთვის საკმაოა.

ბედნიერება გვინდა ამ ქვეყნათ
არა შიმშილი ტანჯვა-ვაება
მუქთა ხორებმა რათ უნდა ყლაპონ
რაც რომ ბეჯითი ხელით კეთდება.

მთელი ქვეყანა პურით სავსეა
ჭამოს მშიერმა იძღოს კუჭია
მხოლოდ ამ ქვეყნათ დასტაბეს ბედკრული
სხვაზე ოცნება მისთვის ფუჭია.

საიქიოზე ფიქრით, ოცნებით
თავი იტეხონ მღვდლებმა—ბერებმა.
დეე იფიქრონ და იოცნებონ
რომ იქ მოელით ბედნიერება,

თუ ღარიბ' გლეხებს, სოფლის მუშას და პროლეტარს ერთი და იგივე მიზეზი აღატაკებს, ცხადია, მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთი და იგივე საშუალებაა საჭირო. როცა ფაბრიკის მუშების მდგომარეობას შევეხე, მაშინ ისიც ვთქვი, რომ სახელმწიფო, რომლის ქონება თან და თან გაფართოვდება, რომლის საკუთრებაში გადავა მემამულეთა და საპლვდელოების ქონება, გლეხი ასოციაციების (საბიწადმოქმედო კავშირები) დაარსებას შეიძლებს,

რასაც მიზნად მიწის საერთო შემუშავება ექნება. ეს ასოციაციები, რასაკვირველია, გაუმჯობესებულ მანქანებს შემოიღებენ,—როგორც ახლა მდიდარი მემამულენი იქცევიან—და მოსაგები თვითვეულზე შრომის დაკვალად იქნება განაწილებული. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს წვრილი მამულების კანონიერათ შეერთებაზე და ამხანაგური წარმოების მოწყობაზე. ასეთ ზომებს ის შედეგი მოჰყვება, რომ არავინ ქირაზე აღარ იმუშავებს და მსხვილი მემამულენიც თავის მამულებს ძალა-უნებურად სახელმწიფოს გადასცემენ. თუ ისინი ამას ნებით არ იზამენ, სახელმწიფო ძალით ჩამოართმევს (ექსპროპრიაცია). ექსპროპრაციულ უფლებით თანამედროვე სახელმწიფოც სარგებლობს; როცა შოსსე ან რკინის გზაა გასაყვანი სახელმწიფოს უფლება აქვს საჭირო მიწა შეაფასოს და პატრონს ჩამოართვას. ის იმით მართლულობს თავს, რომ ასეთი ექსპროპრიაცია საზოგადოებისთვის არის სასარგებლო, თუმცაკ ძალიან ხშირათ უმცირესობის გულისთვის იქცევა ასე. სახალხო სახელმწიფოში კი ექსპროპრიაცია უმრავლესობის სასარგებლოდ და მისი სურვილისამებრ მოხდება, რაც მის გასამართლებლად საკმაოა. ეჭვი არ არის, მარტო ეს ზომებიც ძალიან წინ წასწევდა გლეხების მდგომარეობას. მათი განხორციელება უფრო ადვილია, ვინემ სამრეველო ორგანიზაციების მოწყობა, შეადგენენ ეს ამხანაგობანი ხემებს თუ თვითონ

თემები დაიყოფებიან ამხანაგობად, რა სივრცის იქნებიან მამულები და სხვა,—ამას კანონმდებლობა გადასწყვეტს. საჭირო სპეციალურ განათლებას ორგანიზაციის წევრები მიიღებენ ამ მიზნისთვის დაარსებულ სასწავლებლებში, რაც ყველასათვის ხელმისაწდომი იქნება.

როგორ გადასჭრას კითხვა ბაზელის კონგრესმა, რომელსაც ასე საშინლად შემოსწყრნნ?

„კონგრესმა გამოაცხადა, რომ საზოგადოებას უფლება აქვს კერძო საკუთრება გააუქმოს და საერთო კუთვნილება შემოიღოს; შემდეგ მან აღნიშნა, რომ ასეთი ცვლილება აუცილებლად უნდა მოხდეს“.

ამ გადაწყვეტილებამ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია; ბევრს შეეშინა კიდეც, რაც ადვილი გასაგებია. სხვა გვარი შთაბეჭდილების მიღება შეუძლებელი იყო, რადგან რეზოლიუცია ისეთ კითხვას შეეხო, რომელსაც ბევრი არც კი აქცევდა ყურადღებას, ზოგიერთ ქვეყნებში მას კიდევ არ მიეღო „მწვავე“ ხასიათი. გავლენა იქონია აგრეთვე იმან, რომ რეზოლიუციის დასკვნა მოკრიდებელი, სასტიკი სიტყვებით თავდებოდა და მოტივებიც არ იყო დასახელებული.

კონგრესს რომ ამის მაგიერ ეკკარიუსის წინადადება მიეღო და ბრიუსელის კონგრესის გადაწყვეტილებას დათანხმებოდა, რეზოლიუციას უფრო დამშვიდებული გულით შეხვდებოდენ. რას იზამთ, ასე-

თია ადამიანის ბუნება: მიუტანეთ მას მის მიერ ათვალწუნებული საგანი, მხოლოდ ლამაზათ მოართეთ; ის ახედ-დახედავს, ცოტათი გაჯიუტდება, მაგრამ ბოლოს მაინც გადაყლაპავს; საკმაოა ესევე საგანი მოურთველად მიაწოდოთ და თან მას სილაც აჭამოთ, რომ მან აღშფოთებით უარყოს იგი, როგორც მისი პირადობის შეურაცხმყოფელი.

რას შეიცავდა ეკკარიუსის წინადადება?*)

„რადგანაც მრეწველობის საჭიროებანი და აგრონომიის ცნობილი კანონები იწვევენ მიწის მუშაობის ფართო ფორმის დამყარებას, მანქანების შემოღებას და სოფლის სამუშაო ძალთა ორგანიზაციას, რადგანაც საზოგადოდ ეკონომიური განვითარება მიილტვის მიწათმოქმედების მსხვილ ფორმისაკენ და ამისდა მიხედვით სამეურნეო შრომა და მიწის საკუთრებაც იმავე პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული, როგორშიც მადნებია (წინეთ საზოგადო კუთვნილებათ იყო გამოცხადებული), რადგანაც ნიადაგის საწარმოო თვისება უმთავრესი მასალა, უპირველესი წყაროა წარმოებისა და ყოველგვარ სახმარ საგნების, რომელიც შრომას არ ითხოვს; ყველა ამის გამო კონგრესმა შემდეგი აზრი შეიმუშავა: თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური განვითარება იქითკენ მიისწრაფვის, რომ მიწა საზოგადო

*) ეკკარიუსი წარმომადგენელი იყო ლონდონის მთავარ საბჭოს კონგრესზე.

კუთვნილებად უნდა იქცეს, ის მიწები კი, რომელ-ზედაც სახელმწიფო გზებია გაყვანილი, სოფლის საზოგადოებებს უნდა გადაეცეს იმავე პირობით, რა პირობითაც ისინი მადნებს და რკინის გზებს იღებენ იჯარით.“

არსებითად ეს იგივეა, რაც ბაზელის კონგრესზე იქმნა დადგენილი. თავი და თავი განსხვავება მხოლოდ ფორმაშია, იმაში თუ დასახელებული მოვლენა როგორ და რატომ უნდა მოხდეს, მაგრამ ხამ ადამიანზე ეს კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

ჯერ კონგრესს არ გამოურკვევია, როგორ უნდა იქნას განხორციელებული მისი დადგენილება, მაგრამ ცხადია, რომ ეს დამოკიდებული იქნება მოწინააღმდეგეთა მდგომარეობაზე. ინგლისის პირობები საფრანგეთისას არა ჰგავს, ბელგიის—კიდევ გერმანიისას. საზოგადოთ კი ყველგან ერთი და იგივეა: მასსა შევიწროვებულია ინგლისში და საფრანგეთში ისე, როგორც ბელგიაში და გერმანიაში. ეს შევიწროვება ყველგან თავისებურ ხასიათს ღებულობს, რაც ცალკე ქვეყნების ისტორიულ განვითარებაზეა დამყარებული. რეფორმების განხორციელების დროს სწორედ ამ განსხვავებას უნდა მიექცეს ყურადღება. მთელი მიწის ექსპროპრიაცია ერთი კალმის მოსმით გაცილებით უფრო ადვილია ინგლისში, ვიდრე გერმანიაში. ინგლისში ცნობილ ისტორიულ მსვლელობის გამო, რომელზედაც ახლა აღარ შევჩერდები, 35

ათასი მამული ითვლება, ე. ი. 35 ათასი მემამულე (თუ ოჯახში ოთხ სულს ვიანგარიშებთ გამოვა 140 ათასი კაცი), რომელთაც ეკუთვნის მთელი სახელმწიფოს მიწა, სადაც 30 მილიონი მცხოვრებელია! საქმე სამაგალითოდ აქვთ დაყენებული მსხვილ მოიჯარადრეებს, რომელნიც საზოგადოების შეძლებულ ნაწილს შეადგენენ. მთელი გლეხობა საშინელს, პირდაპირ აუტანელ პირობებში იმყოფება.

ძალმომრეობამ და დანაშაულობებმა, რომელნიც ინგლისის ისტორიაში ხშირად მეორდებოდენ,— მე მოგაგონებთ ირლანდიის მდგომარეობას, ახალშენების თავაშვებულ ცარცვას,—ხალხი ზნეობრივ და ფიზიკურ გათახსირებამდი მიიყვანეს.

რაც ინგლისშია, ის საფრანგეთში არ არის. ბურჟუაზიამ, რომელსაც 1789 წლის რევოლიუციამ ბატონობა მოუპოვა, თავად—აზნაურობის და სამღვდელოების მიმართ შეუბრალებელ ექსპროპრიაციას მიმართა. მან მთელი მიწა ხელში ჩაიგდო—ზოგი მუქთად და ზოგიც სულ მცირე ფასებში—და გლეხებს დაუნაწილა. ამავე დროს კანონმა აკრძალა დიდი მამულის ასიმილიაცია (შეერთება). ფეოდალური თავად—აზნაურობის და სამღვდელოების ბატონობამ ისეთი შიშით და ზიზღით აავსო ბურჟუაზია, რომ მან ყოველგვარ ზომას მიმართა ამ ბატონობის სამუდამოდ გასაქრობად. ამიტომაა, რომ ინგლისში სულ რამდენიმე კაცის ხელშია მთელი მიწა, საფრა-

ნგეთში კი უთვალავი წვრილი მესაკუთრეა. მაგრამ უკანასკნელნი ისეთსავე გაჭირვებას ითმენენ, როგორც ჩვენი წვრილი გლეხები, ფრანგი—გლეხის მდგომარეობას ყველაზე კარგათ ახასიათებენ ერთი ოფიციალური პირის სიტყვები, რომელთაც ეკკარიუსის შრომიდან მოვიყვან: „მილლის ეკონომიური მოძღვრების დარღვევა მუშის მიერ.“ ბ. დე—ბეანსმა ერთხელ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: „1851 წ. მიწის მესაკუთრეთ 10 ათასი მილიონი ფრანკი ვალი ქონდათ. მას შემდეგ საქმე უფრო ცუდათ დატრიალდა, მაგრამ ყოველივე ცდამ, რომ მთავრობას 1861 წლის ცნობები გამოექვეყნებია, ფუჭად ჩაიარა. ბევრი მესაკუთრე, რომელსაც თავისი მამულის გაყიდვა უნდა, მუშტარს ვერ პოულობს. თუ რომელიმე მოზრდილ მამულს, მეტადრე ქალაქის ახლოს მდებარეს, პატარა ნაჭრებად დაანაწილებენ, თვითეული ნაჭერი მეტად დიდ ფასში იყიდება. პატარა ნაჭერი მიწის შესაძენად ბევრი იმდენ ვალს იღებს, რამდენიც ქონება აქვს, იმ იმედით, რომ შემდეგ ნაწილ—ნაწილათ გადაიხდის. ასეთი დანაწილებული მიწების გაყიდვა კიდევ ახალ—ახალ ვალებს იწვევს. შვიდ მილიონ რვაას ორმოც და ექვსი ათას მემამულეთაგან სამი მილიონი ექვსასი ათასი ისეთ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ პირადი ვალების გადახდაც კი ვერ მოახერხა.“ ლასალი ამბობს, რომ 1861 წლის სტა-

ტისტიკური ცნობებით საფრანგეთში სამას ორმოცდა ექვსი ათას საცხოვრებელ ბინას თითო კარი ქონდა და არცერთი ფანჯარა. მილიონ რვაას ჩვიდმეტ ათას სამას ოცდა თვრამეტს თითო ფანჯარა და თითო კარი. ეს შეადგენს ორ მილიონს ას სამოცდასამი ათას რვაას ოცდა თვრამეტ ბინას, სადაც ათი მილიონი საშინლათ გაჭირვებული ხალხი ცხოვრობს. ეს არის საფრანგეთში, რომელმაც ორმოცდა ათი წლით დაგვასწრო „თავისუფალი“ შრომის დაწესება! იქაც ყოველ წელიწადს იზრდება „ნაციონალური სიმდიდრე!“

მაშ, ეს კითხვა საფრანგეთშიც ისე უნდა გადაწყდეს, როგოც გერმანიაში, თუმცა ჩვენში არ არსებობს არც ინგლისის და არც საფრანგეთის მიწადმფლობელობის სისტემა.

საფრანგეთის დეპუტატებს ბაზელის კონგრესზე კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ასე მოიქცენ ისინი ორი მიზეზის გამო. პირველი ის არის, რომ იმათი ერთი ნაწილი თავის იდეალს ხედავს არა საერთო კუთვნილებაში, არამედ ინდივიდუალიზმში, რასაც ქადაგებდა პრუდონი, რომელიც უარჰყოფდა ყოველგვარ საკუთრებას მოძრავსაც და უძრავსაც და საჭიროდ სცნობდა ცალკე დამოუკიდებელ არსებობას, მეორეც ის, რომ ფრანგების ერთი ნაწილი ფიქრობდა, ვაი თუ გლეხებს შეეშინდეს კონგრესის გადაწყვეტილების და რეაქციონე-

რთა ბანაკში გადავიდენო, რასაც მომავალ რევოლიუციურ მოძრაობის დროს დიდი მნიშვნელობა ექნება.

ამ გარემოებას გერმანიაც ფრთხილად უნდა მოეპყრას. გლეხის შეხედულება ძალიან ვიწროა; მისი აზრი კერძო საკუთრების შესახებ შეურყეველია. ფართო ცხოვრებას მოშორებული, მარტოდ-მარტო მიტოვებული, ის ათასში ერთხელ თუ წააწყდება ახალ იდეებს და მათ გავლენას დაემორჩილება. კითხულობს ის ძლიერ ცოტას და ყოველ შემთხვევაში არა იმას, რაც საჭიროა. აზრის აღებ-მიცემობა მისთვის მიუწდომელია და თუ დაუმატებთ იმასაც, რომ საუკუნოებით გამოვლილმა მონობამ მის თვალში ყველას ნდობა დაუკარგა, მაშინ ჩვენ წარმოგვიდგება ადამიანი, რომელიც, შეიძლება, ზემოთ დასახელებულ იდეის მოსისხლე მტერი გამოდგეს. აზრი მიწის ამხანაგურათ შემუშავების შესახებ მას ახირებულად მიაჩნია. ასეთ პირობებში ძნელია რამეს გაკეთება, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ მისი მოძრაობაში ჩათრევა, საჭირო არაა მარტო ახალი იდეის (იდეია თავის თავათ მას არაფრათ იტაცებს) განმარტება, საჭროა აგრეთვე მისი საკუთარი ინტერესების ახსნა და მოწინააღმდეგეს ნაცვლათ ჩვენ ამხანაგი გვეყოლება. ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ, თუ არ გვინდა რომ ფაბრიკის პროლეტარის მოულოდნელმა მოძრაობამ ის შეაშინოს და ჩვენთვის ზურგი შეაქცევიოს, ამიტომ მუშებისათვის საჭიროა გლეხთა კითხვის კარგათ გაცნობა.

მაგრამ მე კითხვას დავშორდი. მე მსურდა ჩემი აზრი გამომეთქვა იმის შესახებ, თუ როგორ ვუყუ-

რებთ ჩვენ სოფლის მუშებს. რაც ვთქვი მგონი საკმაოა. ამ საკითხის შესახებ ჩვენ სრულიად ვუერთდებით ბაზელის კონგრესის დადგენილებას.

„ერთი ამას უყურეთ!“ მომძახის „დემოკრატიშე კორესპონდენც—“ი, სულ რამდენიმე თვეა, რაც ეიზენახში პროგრამმა მიიღეს და ახლა ფეხ ქვე'მ თელავენ მას.

აბა ყური დაუგდეთ!

რას შეიცავს ეიზენახის პროგრამმა! მისი მთლად მოყვანა აქ საჭირო არ არის. II მუხლში შემდეგი სწერია: „მუშის ეკონომიური დამოკიდებულება კაპიტალისაგან ყოველგვარი მონობის საფუძველია და ამიტომ დემოკრატიული პარტია ცდილობს წარმოების არსებული წესის გაუქმებას (სამუშაო ქირის სისტემა) და არტელის შემწეობით შრომით შექნილ მთელი ღირებულების უზრუნველყოფას.“

ეს მგონი სრულიად ეთანხაება იმას, რაც ზევით ვილაპარაკე, თუ ვინმეს მოეპოება სხვა გზა, სხვა საშუალება მუშის კაპიტალისტისაგან გასათავისუფლებლათ, თქვას, რაღას უყურებს! ძალიან საინტერესოა გავიგოთ, თუ ვინმე სხვა გზით მოახერხებს მუშას „შრომის მთელი ღირებულება“ მიაღებიოს,—ვთხოვთ გვაცნობოს. დიდი სიამოვნებით მოუსმენთ და გავშინჯავთ მის რჩევას. მაგრამ თუ „დემოკრატიშე კორესპონდენც—“ი თავისას არ დაიშლის და გვეტყვის, რომ ეიზენახის პროგრამმა (არ ვიცით რატომ!) „კომუნისტურია“ (რაც საბედნიეროდ ჯერ არავის დაუმტკიცებია), ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ეიზენახის პროგრამის §3 და

ნიურენბერგის §2 ერთია. ეს უკანასკნელი აი რას ამბობს; მუშის ეკონომიური დამოკიდებულება სამუშაო იარაღების მონოპოლისტისაგან (ერთად ერთი პატრონი) შეადგენს საფუძველს ყოველგვარი მონობის, სოციალურ უბედურობის, სულიერი დამონაგების და პოლიტიკური დამოკიდებულობისა.“

აქ ძალიან გარკვევით არის ნაჩვენები, რომ მუშის გასათავისუფლებლათ საჭიროა სამუშაო იარაღებზე საკუთრების მოსპობა, მანქანა ინქება ეს, დაუმუშავებელი მასალა, თუ მიწა—სულ ერთია.

ერთი სიტყვით ეიზენახის პროგრამის II მუხლი და ნიურენბერგის §2 ერთი და იგივე მნიშვნელობისაა. ყველა ზემოთ ნაჩვენებ მიზანი ან მშვიდობიანის გზით ან ძალდატანებით განხორციელდება; როგორი ბოლო ექნება ამ კრიზისს ან რა ხასიათს მიიღებს ის—ეს თვითონ კაპიტალისტთა კლასზეა დამოკიდებული.

მე გავათავე.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი გარემოება: თუ გაზეთი „დემოკრატიშე კორესპონდენც—“ი, რომელიც ერთ ნაირი ხელმძღვანელია მთელი სახალხო პარტიის და ბევრისათვის სოციალ—პოლიტიკური ცოდნის წყაროც—თუ ასეთი გაზეთი გულახდილად აღიარებს, რომ ის ჩვენი დროის ერთ უმწვავეს კითხვათაგანს არ იცნობს, მაშინ როგორიღა უნდა იყოს პარტიის წევრთა უმრავლესობის გონებრივი ავლა-დიდება? დიახ, ბევრი ღაღადებს: „უფალო, უფალო!“ მაგრამ ის კი არ იცის რა სურს.